პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 202 (9362)

სამშაბათი 26 აგვისტო 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები დიდ მოთხოვნებს უყენებს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს და ავალებენ მათ დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გააჩაღონ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ფართო კრიტიკა ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესი ლიკვიდაციის მიზნით.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტიდან სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად

ახალი შრომითი წარმატებებით აღვნიშნოთ პარტიის XIX ყრილობა.

საბჭოთა ხალხის უდიდესი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია ცნობამ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველ კუთხეში, ქალაქებსა და სოფლებში, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, ტრანსპორტზე და დაწესებულებებში უმაგალითოდ იზრდება მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. მძლავრად აზვირთდა და ფართო მასობრივ მოძრაობად გადაიქცა პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

მილიონობით მშრომელი უდიდესი ინტერესით გაეცნო და ერთსულოვნად მოიწონა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დოკუმენტები — პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იცინ, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას. ამიტომ ახალ ხუთწლიან გეგმას ყველა საბჭოთა ადამიანი იღებს როგორც კომუნიზმის გზაზე ახალი გამარჯვებებისათვის ყოველდღიური ბრძოლის კონკრეტულ პროგრამას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები პარტიის XIX ყრილობას შეხვდებიან ახალი შრომითი წარმატებებით, კომუნისტური პარტიის გარშემო, მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული.

პარტიის XIX ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. ამ შესანიშნავი შეჯიბრების თავისებურება ის არის, რომ საწარმოო კოლექტივები გულდასმით სწავლობენ თავიანთ შესაძლებლობებს, ავლენენ ახალ შიდარეზერვებს, კრიტიკულად სინჯავენ თავიანთ წინანდელ ვალდებულებებს და, დგებიან რა პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე, ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

სწორედ ასე მოიქცა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სახარატო-მექანიკური საამქროს კოლექტივი. როგორც „კომუნისტი“ იუწყებოდა, საამქროს კოლექტივმა გულდასმით გაითვალისწინა თავისი საწარმოო შესაძლებლობანი, გადაწყვიტა დადგეს პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე და იკისრა აგვისტოსა და სექტემბრის საწარმოო დავალებანი 108 პროცენტით შეასრულოს, გეგმის გადამეტებით მრავალი საორთქლმავლო დეტალი მიაწოდოს ამწყობ საამქროს, ყოველთვიურად დაზოგოს 12 ათასი მანეთი, ლითონის ჩქაროსნულ ჭრაზე გადაიყვანოს 6 ახალგაზრდა ხარატი და ა. შ.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელთა ეს პატრიოტული ინიციატივა ფართო ძხარდაჭერას და გავრცელებას პოულობს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ გიგანტში, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატში, ტყვარჩელის შახტებში და საბჭოთა საქართველოს მრავალ სხვა საწარმოში ათობით ბრიგადები და მთელი საამქროებიც კი დგებიან სტახანოვურ ვახტზე და ვალდებულებას იღებენ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობის გახსნის ისტორიულ დღეს.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ახალ დიდ ამოცანებს აყენებს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე, მისი წამყვანი დარგების — მეტალურგიის, ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობის, მსუბუქი, კვებისა და საშენ მასალათა მრეწველობის, . მანქანათმშენებლობისა და ენერგეტიკის წინაშე. ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად საჭიროა მობილიზებულ იქნას შინასამეურნეო წყაროები სოციალისტური დაგროვების შემდგომი ზრდისათვის, მიღწეულ იქნას სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვა და თვითეული საწარმოს მიერ გეგმის შესრულება მისთვის დაწესებული ასორტიმენტით.

მძლავრი პატრიოტული აღმავლობაა საკოლმეურნეო სოფელში. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მიხდვრებსა და პლანტაციებში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად. ხორბლის უხვი მოსავლის ოსტატები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მზად არიან პარტიის XIX ყრილობა აღნიშნონ პურის მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებითა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის წარმატებით შესრულებით. ყრილობისათვის მზადების დღეებში ქართველი კოლმეურნეები კიდევ უფრო აძლიერებენ ბრძოლას ამხანაგ სტალინის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანის—საქართველოს საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველყოფის ამოცანის შესრულებისათვის. საჭიროა კოლმეურნეები, მტს-ებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები განიმსჭვალონ მისწრაფებით — დროზე და სანიმუშოდ აღიღონ მოსავალი, მოიპოვონ იმის საპატიო უფლება, რომ საქართველოს რესპუბლიკამ ერთ-ერთმა პირველმა მოახსენოს ამხანაგ სტალინს პურის დამზადების გეგმის დროზე შესრულების შესახებ.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ უნდა გაჩაღდეს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეთა შორისაც. ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულება კვლავ ჩამორჩენილია. ამ ჩამორჩენას არავითარი გამართლება არა აქვს და იგი მთელი რიგი რაიონული პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოების უმოქმედობის შედეგს წარმოადგენს. მზადება პარტიის XIX ყრილობისათვის მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ბრძოლას ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. საქართველოს მეჩაიეთა პატრიოტული მოვალეობაა პარტიის XIX ყრილობას შეეგებონ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით.

„ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები, — ნათქვამია პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, — დიდ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს და ავალებენ მათ დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გააჩაღონ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ფართო კრიტიკა ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესი ლიკვიდაციის მიზნით“.

ამოცანა ის არის, რომ სათავეში ჩავუდგეთ მზადებას პარტიის XIX ყრილობისათვის, დავრაზმოთ მასები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის.

ახალი შრომითი წარმატებებით აღვნიშნოთ დიადი კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა!

მეჯი პროდუქცია სამშობლოს

თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. ქარხნის სამსხმელო, სახარატო და ამწყობ საამქროებში გაიმართა საუბრები. ქარხნის მუშები დიდი ინტერესით გაეცნენ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დირექტივების პროექტს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის მოწინავე სტახანოველი მუშები—ზეინკლები გ. გოდერძიშვილი და ო. გოგიჩაიშვილი, მეყალიბე გ. ასპანიძე, ხარატები ო. სამანიშვილი და ი. გორბაჩოვი. მათ გადწყვიტეს ახალი შრომითი წარმატებით შეხვდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას, გამოუშვან მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ამწყობი საამქროს კოლექტივმა ვალდებულება აიღო მაქსიმალურად შეამჭიდროოს ჩარხების აწყობის დრო და 1 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას რამდენიმე ჩარხი. სამსხმელო საამქროს კოლექტივმა იკისრა 5 ტონა თუჯი გამოუშვას გეგმის გადამეტებით, აღმოფხვრას წუნი. გადიდებული ვალდებულება იკისრეს აგრეთვე სახარატო საამქროს მუშებმა.

ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა აძლიოს სამშობლოს მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

მაღალხარისხოვანი ფეხსაცმელი გეგმის გადამეჭებით

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშები უდიდესი ყურადღებით გაეცნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ, სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებისა და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტებს.

სამკერვალო საამქროს მუშებს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის პროექტი გააცნო აგიტატორმა ვ. იმედაშვილმა. საუბრის შემდეგ სიტყვა აიღო სტახანოველმა შ. ჯანელიძემ, მან განაცხადა: მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის შემდგომი მძლავრი განვითარების ამოცანები თვითეული საბჭოთა ადამიანისაგან მოითხოვს თავდადებულ, ბეჯით, შემოქმედებითს შრომას. პირადად მე ვკისრულობ უკეთესად ვიმუშაო, დავალება შევასრულო 250 პროცენტით და გამოვუშვა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია. სტახანოველმა ნ. დუქანოვმა ვალდებულება აიღო ყოველდღიური დავალება შეასრულოს ორმაგად და არ დაუშვას წუნი მუშაობაში.

მე-5 სამკერვალო საამქროში აგიტატორის საუბრის შემდეგ სტახანოველმა შ. ანდღულაძემ განაცხადა: დღიდან ვდგები XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე და პირობას ვიძლევი გეგმა შევასრულო 250 პროცენტით.

ფეხსაცმლის საძირეების გამომჭრელი საამქროს ოსტატმა ი. წითელაურმა იკისრა გეგმა შეასრულოს 110 პროცენტით და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგოს მასალა.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი პირობას იძლევა გადაჭარბებით შეასრულოს ფეხსაცმლის გამოშვების წლიური გეგმა და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგოს როგორც საპირე, ისე საძირე ტყავი.

შრომითი აქტივობა გორში

გორი. (საკ. კორ.). ცნობამ ბოლშევიკური პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია გორის მშრომელებში. აგიტატორები და პროპაგანდისტები მშრომელებს აცნობენ ყრილობის დირექტივების პროექტს სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტს.

გორის საკონსერვო ქარხნის მთავარ საამქროში კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. მაღალდაძემ გამართა საუბარი, რომელსაც მრავალი მუშა დაესწრო. საუბრის დამთავრების შემდეგ ბრიგადირმა მ. ყანჩაველმა განაცხადა:

— პარტიის მორიგი XIX ყრილობის მოწვევა დიდი მოვლენაა ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ყრილობის დირექტივების პროექტი ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების სტალინური პროგრამაა. ყრილობის აღსანიშნავად ჩვენი ბრიგადა სტახანოვურ ვახტზე დგება და კისრულობს აგვისტოს გეგმა შეასრულოს 130 პროცენტით, ხოლო მესამე კვარტალის გეგმა ვადაზე 5 დღით ადრე.

ველმა ნ. დუქანოვმა ვალდებულება აიღო ყოველდღიური დავალება შეასრულოს ორმაგად და არ დაუშვას წუნი მუშაობაში.

მე-5 სამკერვალო საამქროში აგიტატორის საუბრის შემდეგ სტახანოველმა შ. ანდღულაძემ განაცხადა: დღიდან ვდგები XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე და პირობას ვიძლევი გეგმა შევასრულო 250 პროცენტით.

ფეხსაცმლის საძირეების გამომჭრელი საამქროს ოსტატმა ი. წითელაურმა იკისრა გეგმა შეასრულოს 110 პროცენტით და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგოს მასალა.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი პირობას იძლევა გადაჭარბებით შეასრულოს ფეხსაცმლის გამოშვების წლიური გეგმა და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგოს როგორც საპირე, ისე საძირე ტყავი.

გაღავსინჯეთ წინანდელი ვალდებულებები

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში უდიდესი წარმატებები მოიპოვა; ყოველ გამარჯვებას, ყოველ მიღწევას ჩვენ ვუმადლით ლენინ-სტალინის დიად პარტიას. ამიტომ არის, რომ ასეთი დიდი სიხარულით შევხვდით მშობლიური პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევას.

ზეინკალთა ჩემი ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეა მთელ ქარხანაში. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრის ბრძანებით საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის წოდება. მოგვენიჭა. კარგი წარმატებები გვქონდა მეორე კვარტალშიც. 7 თვის დავალება 222 პროცენტით გავანაღდეთ. ბრიგადის წევრები უდიდესი ინტერესით გაეცნენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტს. მასში მოცემულია საბჭოთა სახელმწიფოს მძლავრი ეკონომიური აღმავლობის, ჩვენი ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის შემდგომი ამაღლების დიადი პროგრამა.

ბრიგადის წევრთა მტკიცე გადაწყვეტილებაა ბოლშევიკური პარტიის ამ მზრუნველობას ახალი შრომითი წარმატებებით ვუპასუხოთ. გადავსინჯეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები. თუ აღრინდელი ვალდებულება ყოველი თვის საწარმოო დავალების ორმაგად შესრულებას ითვალისწინებდა, XIX ყრილობის აღსანიშნავად პირობა დავდეთ იგი 250 პროცენტამდე ავიყვანოთ, აგრეთვე ვიკისრეთ, რომ გამოუშვებთ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის მანქანებს, უკეთ მოვაწყობთ სამუშაო ადგილს.

ჩვენთან, საიარაღო-საექსპერიმენტო საამქროში, შემომსვლელს თვალში ეცემა რიგში ჩამწკრივებული ვიწრო, მაგრამ მაღალი დანადგარები. ეს არის ბოთლზე ალუმინის თაკვსახურის დამცობი მანქანები, რომლის პირველი ეაზემპლარიც აქ, ამ საამქროში დაიბადა. თექვსმეტი ცალი ასეთი მანქანა უკვე დავამზადეთ და დანიშნულებისამებრ გავგზავნეთ. ახლა კიდევ ცხრა მანქანას ვაწყობთ. ბრიგადა მუშაობს აგრეთვე თამბაქოს საწნეხი ტუმბოებისა და კვების მრეწველობის სხვა მოწყობილობათა დამზადებაზე.

უკანასკნელ დღეებში ბრიგადის მიერ დავალებათა წარმატებით შესრულება იმის საწინდარია, რომ ყველა მისი წევრი ღირსეულად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, პირნათლად შეხვდება საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას.

შ. ოგანიძე,

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობასთან დაკავშირებული დოკუმენტები ცალკე ბროშურებად გამოიცა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურებად გამოსცა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლებიც გაზეთებში გამოქვეყნდა.

თვითეული ბროშურა: „საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი. პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ (ყრილობის დღის წესრიგის მესამე პუნქტი)“, და „საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი. პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტი (ყრილობის დღის წესრიგის მეოთხე პუნქტი)“ იბეჭდება 3 მილიონ ცალად.

ასეთსავე ბროშურებს, თვითეულს ერთ მილიონ ცალად, გამოუშვებს „პრავდის“ გამომცემლობა. (საკდესი).

ადამიანები, რომელთა შრომა მისაბაძია

ნათელა გულისკერია

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი

ეს იყო ათი წლის წინათ. ახალგაზრდა ნათელა ბულისკერია თავის თანატოლებთან ერთად დილაადრიანად გაეშურა ჩაის პლანტაციებისაკენ. ძლიერ ღელავდა, ეშინოდა ტოლებს არ ჩამორჩენოდა ჩაის კრეფაში. ეს გასაგებიც იყო, რადგან პირველად მიდიოდა ჩაის საკრეფად და საამისო გამოცდილება არ ჰქონდა.

მიუხედავად თავდადებული შრომისა, პირველი დღის შედეგები ნათელასათვის არადამაკმაყოფილებელი იყო. ამ ერთგვარმა წარუმატებლობამ იგი როდი შეაშინა. პირიქით, მან უფრო მეტი ენერგიით იწყო მუშაობა.

მალე მას მოსავლელად მიუჩინეს ნახევარი ჰექტარი პლანტაცია. ბულისკერია მთელი მონდომებით შეუდგა მუშაობას, გულდასმით გაეცნო და შეისწავლა ჩაის კულტურის აგროწესები, მოწინავეთა გამოცდილება.

ბეჯითი შრომითა და მეცადინეობით ახალგაზრდა კოლმეურნე კარგად დაეუფლა ჩაის კულტურის მოვლის აგროტექნიკას, ამდიდრებდა მას თავისი შესანიშნავი პრაქტიკული გამოცდილებით.

რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ ზრდიდა ყოველწლიურად გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნათელა ბულისკერია პლანტაციის მოსავლიანობას: 1948 წელს მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთზე მოკრიფა 8.300 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ამის შემდეგ მან კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა, კალენდარულ ვადებში შეასრულა გათვალისწინებული სამუშაოები. თვითეული ბუჩქისადმი ინდივიდუალური მიდგომით 1949 წელს ნ. ბულისკერიამ მოკრიფა 11.461 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 1950 წელს კიდევ უფრო აამაღლა მოსავლიანობა და იგი 13.402 კილოგრამამდე აიყვანა. ხოლო გასულ წელს სამშობლოს მისცა 14.630 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, აქედან 10 ათასზე მეტი კილოგრამი პირველი ხარისხისა იყო.

წელს ნათელა ბულისკერიამ უფრო გადიდებული ვალდებულება იკისრა. მოსავლელად აიღო ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაცია და იკისრა სახელმწიფოს ჩააბაროს 24.000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ საქმეში იგი კარგ წარმატებას აღწევს.

თავისი გამოცდილების, მუშაობის მეთოდებისა და ხერხების შესახებ ნოვატორმა შემდეგი განაცხადა:

ჩაის პლანტაცია, რომელსაც მე ვუვლი, გაშენებულია ოდხვ დაქანებულ ფერდობზე, ნიადაგი მსუბუქთიხნარიანი, ჰუმუსით მდიდარი და საკმაოდ სტრუქტურულია, ამასთან ჰაერისა და წყალის კარგი გამტარია. გაშენებულია მინდორსაცავი ზოლები, რომლებიც საიმედოდ იცავენ ნაკვეთს ქარის მავნე მოქმედებისაგან. პლანტაჟი ჩატარებულია 45 სანტიმეტრ სიღრმეზე, ამან ნორმალური ზრდა-განვითარების საშუალება მისცა ნორჩ მცენარეებს, შექმნა ჰაერისა და წყალის ნორმალური რეგულაციის საშუალება.

ქმედითს ღონისძიებებს ვახორციელებ მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მაგალითად, 1950 წელს მცენარეებს შევამჩნიე, რომ ზოგიერთი მათგანი დაავადებული იყო ფარიანებითა და ჩრჩილით. მაშინვე ჩავატარე ფუმიგაცია ფარიანების წინააღმდეგ, ხოლო ჩრჩილით დაავადებული ტოტები მოვჭერი და პლანტაციიდან გავიტანე, შემდეგ კი დავწვი. ასეთ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად თავიდან ავიცილეთ პლანტაციებში მავნებლების გავრცელება.

ზამთარში პლანტაციებს ვბარავთ 12-15 სანტიმეტრ სიღრმეზე. ეს იმიტომ, რომ ნიადაგმა საკმაო რაოდენობით შეისრუტოს წყალი და ზაფხულის თუ გაზაფხულის პერიოდში შეინარჩუნოს ნორმალური ტენიანობა, ამასთანავე არ დაბრკოლდეს ჰაერის რეგულაცია. საერთოდ გადაბარვას ვიწყებ 10 დეკემბერს და ვამთავრებ 25 დეკემბერს.

დიდ ყურადღებას ვაქცევ პლანტაციებში სასუქების დროზე შეტანას. წელს ერთ ჰექტარზე შევიტანე 800 კილოგრამი ფოსფორი და 400 კილოგრამი კალიუმის მარილი. თუ რომელიმე ბუჩქს დასუსტება შევატყე, მას სასუქს დამატებით ვაძლევ.

აზოტოვანი სასუქები სულფატამონიუმის სახით შემაქვს სამ დოზად: აპრილში, მაისსა და ივნისში. წელს ერთ ჰექტარზე სულ შეტანილი მაქვს 1.900 კილოგრამი სასუქი. შემდეგ ვახდენ სასუქის ჩათხნას 6-7 სანტიმეტრ სიღრმეზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ორგანული სასუქების, კერძოდ ნაკელის შეტანას. ნაკელიც მობნევით შემაქვს, შემდეგ ვაწარმოებ მის ჩაბარვას. ერთ ჰექტარზე შემაქვს 20 ტონამდე ნაკელი.

ბუჩქების გასხლვის სეზონს ყოველმხრივ მომზადებული ვხვდები, ჩაის ბუჩქებს ვასხლავ შაალერული წესით 25 თებერვლიდან 12 მარტამდე.

ჩაის პლანტაციებს კარგად ვუვლი. პირველი გათოხნა ჩავატარე 1 აპრილიდან 5 აპრილამდე, მეორე—2 მაისიდან 12 მაისამდე, მესამე — 15 ივნისიდან 28 ივნისამდე. საჭიროებისამებრ მეოთხეჯერაც ვთოხნი.

ჩაის კრეფის სეზონის დაწყებისათვის ყოველთვის დიდი გულმოდგინებით ვემზადები. დროულად მომყავს წესრიგზე საჭირო ინვენტარი. უმეტესად კრეფას ვიწყებ აპრილის ბოლო რიცხვებში, რადგან ამ დროისათვის 4-5-ფოთლიანი ყლორტების საერთო რაოდენობა 75-80 პროცენტს აღწევს. აწესთან ამ პერიოდში ფოთოლს ვკრეფ იმ ვარაუდით, რომ ნეკზე აპრილ-მაისში დავგტოვო ორი ფოთოლი, ივნისში—ერთი ნორმალური ფოთოლი.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატმა ნათელა ბულისკერიამ ეს მდიდარი გამოცდილება წლების განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შეიძინა. მისი სიტყვა საქმეს არასოდეს არ სცილდება; სტახანოველი ყოველწლიურად გაცილებით მეტ ჩაის ფოთოლს კრეფს, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

თავდადებული შრომით ნ. ბულისკერიამ კოლმეურნეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. 1951 წელს კოლმეურნეებმა მას დიდი ნდობა გამოუცხადეს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი მიღწეული როდი კმაყოფილდება, გარკვეული ენერგიით შრომობს მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის, ამასთან თავის გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს. ნათელა ბულისკერიას მეთოდით მუშაობენ კოლმეურნეობაში კომკავშირელი ახალგაზრდები ბ. ჩერქეზია, ლ. ზუბბაია, ნ. ახვლედიანი, ბ. შამათავა, შ. კუკავა, დ. რიგვავა და სხვები, რომლებიც ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

ნათელა ბულისკერიას წელს უკვე გამომუშავებული აქვს 300-ზე მეტი მრომადღე.

იგი ჩაბმულია პარტიის XIX ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ეჯერგიას არ ზოგავს ვალდებულების გასანაღდებლად.

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა განიხილა ბულისკერიას მუშაობის გამოცდილება, მოიწონა მისი მუშაობის მეთოდი და დაავალა. პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ დანერგონ ჩაის მეურნეობაში ნოვატორის გამოცდილება.

ჩაის უხვი მოსავლის ოსტატის, სოციალისტური შრომის გმირის, შესანიშნავი ნოვატორის ნათელა ბულისკერიას გამოცდილება საქართველოს სსრ ყველა მეჩაიე კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობის მუშის კუთვნილება უნდა გახდეს.

ბ. წიკლაური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საბჭოთა მთავრობის ნოტები

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

10 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობის 1952 წლის 24 მაისის ნოტისა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

23 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებს გადასცა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტები.

ქვემოთ ქვეყნდება ტექსტი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1952 წლის 10 ივლისის ნოტისა და ტექსტი საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 23 აგვისტოს საპასუხო ნოტისა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1952 წლის 10 ივლისის ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს უდასტურებს თავის პატივისცემას და თავისი მთავრობის მითითების თანახმად პატივი აქვს აცნობოს შემდეგი.

1. შეერთებული შტატების მთავრობამ თავის 13 მაისის ნოტაში ჩამოაყალიბა სხვადასხვა წინადადება იმ იმედით, რომ ხელი შეეწყო ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკებისთვის, რასაც შეეძლო გამოეწვია გერმანიის გაერთიანება და სრულიად გერმანიის მთავრობასთან მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე. იგი მწუხარებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ თავის 24 მაისის ნოტაში პასუხი არ გასცა ამ წინადადებებზე. შეერთებული შტატების მთავრობა სავსებით იცავს იმ თვალსაზრისსა და წინადადებებს, რომლებიც გამოთქმულია 13 მაისის ნოტაში. ემყარება რა ამას, ამ ნოტით მას სურს მთელი ყურადღება მიაქციოს იმ პროცედურის უშუალო პრაქტიკულ პრობლემას, რომ თავისუფალი არჩევნების გზით შეიქმნას სრულიად გერმანიის მთავრობა, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა საზავო ხელშეკრულების დადება.

2. საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში კვლავ მოითხოვს განხილულ იქნას ერთდროულად საზავო ხელშეკრულება, გერმანიის გაერთიანება და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნა. თავის მხრივ შეერთებული შტატების მთავრობა ადასტურებს თავის პოზიციას ამ საკითხში, სახელდობრ: სრულიად გერმანიის მთავრობამ მონაწილეობა უნდა მიიღოს საზავო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებაში და ამიტომ ასეთი მოლაპარაკების მოწყობამდე გერმანია უნდა გაერთიანდეს და უნდა შეიქმნას სრულიად გერმანიის მთავრობა. გერმანიის გაერთიანება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ თავისუფალი არჩევნების გზით. პირველ ძირითად ნაბიჯს, ცხადია, წარმოადგენს იმის გამოკვლევა, არსებობს თუ არა ასეთი თავისუფალი არჩევნებისათვის საჭირო პირობები. მეორე ნაბიჯი იქნებოდა არჩევნების მოწყობა.

3. შეერთებული შტატების მთავრობამ თავისი 13 მაისის ნოტით პირველი ნაბიჯის შესახებ წინადადება წამოაყენა, რომ მიუკერძებელმა კომისიამ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა მთელ გერმანიაში ისეთი პირობები, რომლებიც საჭიროა თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად. აღნიშნავდა რა იმ დიდ უპირატესობას, რასაც გაერთიანებული ერების კომისიის გამოყენება მოგვცემდა, შეერთებული შტატების მთავრობამ მაინც წამოაყენა წინადადება—განხილულ იქნას მიუკერძებელი კომისიის შესახებ ყოველგვარი, სხვა პრაქტიკული და კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც შეიძლება წამოაყენოს საბჭოთა მთავრობამ. საბჭოთა მთავრობა ასეთ წინადადებებს არ აყენებს და სჯერდება იმას, რომ ადასტურებს თავის პოზიციას — დაინიშნოს კომისია ასეთი შემოწმების მოსაწყობად ოთხ სახელმწიფოს შორის შეთანხმების გზით. შეერთებული შტატების მთავრობისათვის ნათელი არ არის, ფიქრობს თუ არა საბჭოთა მთავრობა, რომ კომისია უნდა შედგებოდეს ოთხი სახელმწიფოს მოქალაქეთაგან, თუ ოთხი სახელმწიფო უნდა შეთანხმდეს მხოლოდ მისი შემადგენლობის შესახებ. შეერთებული შტატების მთავრობას სურს მიიღოს განმარტება ამ საკითხზე. შეერთებული შტატების მთავრობა დარწმუნებულია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ოთხი სახელმწიფოს მოქალაქეთაგან შემდგარი კომისია ვერ გამოიტანს პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს, რამდენადაც იგი ისახავს ოთხი სახელმწიფოს ახლანდელ უთანხმოებას იმ პირობების შესახებ, რომლებიც ფედერალურ რესპუბლიკაში, საბჭოთა ზონასა და ბერლინში არსებობს. შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ, თუ სასურველია, რომ კომისიამ თავისი მუშაობა ეფექტიანად შეასრულოს, იგი უნდა შედგებოდეს მუკერძებელი წევრებისაგან, არ უნდა ემარჩილებოდეს ოთხი სახელმწიფოს ვეტოს, კონტროლს და უფლება უნდა ჰქონდეს თავისუფლად მოიაროს გერმანიის ყველა ნაწილი და გამოიკვლიოს პირობები, რომლებიც თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესაძლებლობას შეეხება.

4. სწორედ ასევე შეერთებული შტატების მთავრობამ მეორე ნაბიჯის შესახებ წინადადება წამოაყენა, რომ, როგორც კი მზად იქნება კომისიის მოხსენება, გაიმართება შეერთებული შტატების, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენელთა თათბირი, რათა განხილულ იქნას მთელ გერმანიაში თავისუფალი არჩევნების რაც შეიძლება მალე მოწყობა, მათ შორის სათანადო პირობების შექმნა იქ, სადაც ეს საჭიროა. შეერთებული შტატების მთავრობა იცავს ამ წინადადებას, რომელზეც საბჭოთა მთავრობას ჯერ პასუხი არ გაუცია. შეერთებული შტატების მთავრობა იმეორებს იმას, რაც თავისი 13 მაისის ნოტის მე-8 პარაგრაფში განაცხადა: „მაგრამ ასეთი თავისუფალი არჩევნები შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის ყველა ნაწილში იქნება საჭირო პირობები და თუ ეს პირობები დაცულ იქნება არა მარტო კენჭისყრის დღეს და მანამდე, არამედ შემდეგშიც“.

5. შემდეგ შეერთებული შტატების მთავრობამ წინადადება შემოიტანა, რომ ამავე თათბირზე განხილულ იქნას ის გარანტიები, რომლებიც ოთხმა სახელმწიფომ უნდა მისცეს იმ მხრივ, რომ სრულიად გერმანიის მთავრობას, რომელიც თავისუფალი არჩევნების შედეგად შეიქმნება, ექნეს მოქმედების საჭირო თავისუფლება იმ პერიოდში, სანამ საზავო ხელშეკრულება ძალაში შევიდოდეს. შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ გათვალისწინებული ერთადერთი კონკრეტული წინადადება ის არის, რომ სრულიად გერმანიის მთავრობამ უნდა იხელმძღვანელოს პოტსდამის გადაწყვეტილებებით. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ხელახლა შეიქმნას კონტროლის ოთხმხრივი სისტემა, რომელიც იმ თავითვე გათვალისწინებული იყო მხოლოდ „კონტროლის თავდაპირველი პერიოდისათვის“. ასეთი შეთანხმება აღორძინებდა კონტროლის სისტემას, რომელიც პრაქტიკული არ აღმოჩნდა, და უფრო მეტიც, რომელიც არ გაითვალისწინებდა უკანასკნელ წლებში გერმანიაში ამბების განვითარებას. ასეთი კონტროლისადმი დაქვემდებარებული გერმანიის მთავრობა ნამდვილად ვერ ისარგებლებდა თავისუფლებით ოთხ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და თავისუფლად ვერ მიიღებდა მონაწილეობას ზემოაღნიშნულ ოთხ მთავრობასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებაში.

6. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აგრეთვე მწუხარებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ, რომელსაც არაერთგზის დაუდასტურებია თავის ნოტებში გერმანიის გაერთიანების სურვილი, ამას წინათ სრულიად უსაფუძვლოდ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი საბჭოთა ზონასა და ბერლინში. ამ ღონისძიებათა მიზანია თავიდან აცილებულ იქნას კონტაქტი საბჭოთა ოკუპაციის ტერიტორიაზე მცხოვრებ გერმანელებსა და ფედერალურ რესპუბლიკასა და ბერლინის დასავლეთ სექტორებში 50 მილიონ გერმანელთა შორის. ეს ღონისძიებანი აღრმავებენ გერმანიის თვითნებურ გათიშვას. შეერთებული შტატების მთავრობას სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ამის წინათ ფედერალურ რესპუბლიკასთან ხელმოწერილი შეთანხმებანი გერმანიას აძლევენ ევროპის სხვა ერებთან ფართო და თავისუფალ გაერთიანების შესაძლებლობას. შეერთებული შტატების მთავრობას, როგორც უკვე თავის 13 მაისის ნოტაში ხაზგასმით აღნიშნა, არ შეუძლია დაუშვას, რომ გერმანიას წაერთვას თავისუფალი და თანასწორი ერისათვის დამახასიათებელი ძირითადი უფლება გაერთიანდეს სხვა ერებთან სამშვიდობო მიზნებით. გარდა ამისა, ეს შეთანხმებანი ადასტურებენ სამი სახელმწიფოსა და ფედერალური რესპუბლიკის მტკიცე გადაწყვეტილებას ხელი შეუწყონ გერმანიის გაერთიანებას, და ნათლად აღნიშნავენ სამი სახელმწიფოს უფლებას მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ — მთელი გერმანიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, რომელიც თავისუფლად იქნება მიღწეული ოთხი სახელმწიფოს და სრულიად გერმანიის მთავრობის მიერ.

7. იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას შემდგომი გაჭიანურება, შეერთებული შტატების მთავრობა საფრანგეთის მთავრობასა და შეერთებული სამეფოს მთავრობასთან ერთად და გერმანიის ფედერალურ მთავრობასთან და ბერლინის გერმანელ ხელისუფლებთან კონსულტაციის შემდეგ წინადადებას იძლევა, რომ უახლოეს დროში გაიმართოს ოთხი მთავრობის წარმომადგენელთა თათბირი, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ოთხი მთავრობა ემხრობა თავისუფალ არჩევნებს მთელ გერმანიაში, როგორც ეს განსაზღვრულია ამ ნოტის მე-4 პარაგრაფში, და იმ პირობით, რომ თავისუფალი გერმანიის მთავრობამ მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში გერმანიის საზავო ხელშეკრულების შესახებ. ასეთი თათბირის მიზანი იქნება შეთანხმების მიღწევა პირველ საკითხზე, რომელიც მოწესრიგებულ უნდა იქნას, თუ სასურველია შემდგომი პროგრესი, სახელდობრ, გამოკვლევის კომისიის შემადგენლობისა და ფუნქციების საკითხზე იმის გამოსარკვევად, არსებობს თუ არა თავისუფალი არჩევნებისათვის საჭირო პირობები. შეერთებული შტატების მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ წარმომადგენლებმა განიხილონ:

a. კომისიის წევრების შერჩევა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას მისი მიუკერძებლობა.

b. კომისიის ფუნქციები, მხედველობაში ვიღებთ რა მისი სრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას ოთხი სახელმწიფოსათვის რეკომენდაციების წარდგენაში.

c. კომისიის რწმუნებანი — განახორციელოს გამოკვლევა სრული თავისუფლებისა და ჩაურევლობის პირობებში.

8. თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად აგრეთვე საჭიროა მიღწეულ იქნას შეთანხმება სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის პროგრამის შესახებ, როგორც ეს წამოყენებულია შეერთებული შტატების მთავრობის 13 მაისის ნოტის მე-11 (IV) პარაგრაფში. ამის გამო შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ იმეორებს წინადადებას ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ შემდგომი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის შესახებ. როცა ასეთი შეთანხმება მიღწეულ იქნება, შეიქმნება შესაძლებლობა შევუდგეთ გერმანიის გაერთიანებას.

9. რამდენადაც საბჭოთა მთავრობას არაერთგზის გამოუთქვამს სურვილი ნოტების გაცვლის ნაცვლად თათბირის რაც შეიძლება მალე მოწყობის შესახებ, შეერთებული შტატების მთავრობას იმედი აქვს, რომ ეს წინადადება მისაღები იქნება საბჭოთა მთავრობისათვის.

საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 23 აგვისტოს ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამა წლის 10 ივლისის ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

1. თავის 24 მაისის ნოტაში, ისე, როგორც, თავის წინანდელ ნოტებში, საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ უშუალო მოლაპარაკებას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის შესახებ. ამ საკითხების გადაწყვეტის გასაადვილებლად საბჭოთა მთავრობამ ჯერ კიდევ 10 მარტს წინადადება წამოაყენა, რომ ოთხ მთავრობას—სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს ერთობლივად განეხილათ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების მისი პროექტი, ამასთან განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს ამ საკითხზე სხვა შესაძლო წინადადებანიც. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა თავი აარიდეს საბჭოთა მთავრობასთან უშუალო მოლაპარაკებას ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 10 ივლისის ნოტა მოწმობს, რომ სამი მთავრობა კვლავ განაგრძობს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვის გაჭიანურებას, როგორიცაა გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი.

2. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები, აჭიანურებენ რა საბჭოთა მთავრობასთან გერმანიის საკითხზე ნოტების მიმოწერას, შეუთანხმდნენ ადენაუერის მთავრობას. პოტსდამის შეთანხმების უხეში დარღვევით სამი სახელმწიფოს მთავრობებმა 26 მაისს ბონის მთავრობასთან დადეს ეგრეთწოდებული სეპარატული „შეთანხმება“, უწოდეს რა მას კონვენცია დასავლეთის სამ სახელმწიფოსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შესახებ, ხოლო ამის შემდეგ 27 მაისს პარიზში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ. ამ „შეთანხმებათა“ ხელმოწერამ მთავრობებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ მათ სრულიადაც არ აინტერესებთ არც გერმანიის გაერთიანება, არც გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, არამედ მიზნად ისახავენ გერმანიის გათიშვის შენარჩუნებასა და გაღრმავებას, აგრეთვე იმას, რომ დასავლეთი გერმანია და დასავლეთ გერმანიის არმია, რომელსაც დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობები ქმნიან, დაუკავშირონ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკს და დასავლეთი გერმანია უფრო სრულად გამოიყენონ ამ ბლოკის აგრესიული მიზნებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბონის სეპარატული „შეთანხმება“ ადენაუერის მთავრობასთან წარმოადგენს აშკარა სამხედრო კავშირს, რომელიც ისახავს აშკარად აგრესიულ მიზნებს. ეს „შეთანხმება“ ლეგალურს ხდის გერმანიის მილიტარიზის აღორძინებას, დასავლეთ გერმანიის დაქირავებული არმიის შექმნას, რომელსაც სათავეში უდგანან ფაშისტი ჰიტლერელი გენერლები. ჩვენ ბრჭყალებში ვსვამთ სიტყვა „შეთანხმებას“, რადგან ბონის სეპარატული „შეთანხმება“ თავისუფლად არ მიუღიათ დასავლეთ გერმანიის გერმანელებს, იგი თავს მოახვიეს დასავლეთ გერმანიას გერმანელი ხალხის ნების წინააღმდეგ.

სამი სახელმწიფოს მთავრობები ყოველნაირად ცდილობენ დაუმალონ გერმანელ ხალხს ბონის სეპარატული „შეთანხმების“ ხასიათი, რომელიც მტრულია მისი ეროვნული ინტერესებისათვის და საშიშია მშვიდობის საქმისათვის. ამასთან ისინი ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს ეს „შეთანხმება“ გერმანიას უქმნის „ევროპის სხვა ერებთან ფართო და თავისუფალი გაერთიანების შესაძლებლობას“, სურთ დაარწმუნონ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ვითომდა ესწრაფვიან სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნას, რომელსაც მათი განცხადებით „უნდა ჰქონდეს მთავრობისათვის დამახასიათებელი მოქმედების საჭირო თავისუფლება და რწმუნებანი“. მაგრამ ბონის სეპარატული „შეთანხმების“ შინაარსი პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ დაპირებებს. როგორც ბონის სეპარატული „შეთანხმების“ ტექსტიდან ჩანს, დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობები მთლიანად ინარჩუნებენ ეგრეთწოდებულ „განსაკუთრებულ უფლებებს“ და ამას ასაბუთებენ გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობის თავისებურებებით. ეს „განსაკუთრებული უფლებები“ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს აძლევს შეუზღუდველ შესაძლებლობას განალაგონ თავიანთი ჯარები დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე, აგრეთვე ყოველ დროს თავიანთი შეხედულებით შემოიღონ დასავლეთ გერმანიაში საგანგებო წესები და საკუთარ ხელში აიღონ მთელი ხელისუფლება. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა ამ „შეთანხმებით“ შეინარჩუნეს დასავლეთ გერმანიის საშინაო საქმეებში ფართოდ ჩარევის და მოკუპირებელი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლება იმ მიზნით, რომ დასავლეთ გერმანიას თავს მოახვიონ თავიანთი დიქტატი.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ბონის სეპარატული „შეთანხმება“ არა თუ არ უქმნის გერმანიას შემდგომი თავისუფალი განვითარების შესაძლებლობებს, როგორც ამას ამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის 10 ივლისის ნოტაში, არამედ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას და დასავლეთ გერმანიას ტოვებს მოკუპირებულ ხელისუფლებაზე სრულ მორჩილებასა და დამოკიდებულებაში, როგორც ეს იყო საოკუპაციო სტატუტის დროს.

3. თავს არიდებს რა უშუალო მოლაპარაკებას სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნისა და საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, თავისი პოზიციის შენიღბვის მიზნით, თავის 10 ივლისის ნოტაში აყენებს იმ გარანტიების საკითხს, რომლებიც უნდა მისცეს ოთხმა სახელმწიფომ, რომ თავისუფალი არჩევნების შედეგად შექმნილ სრულიად გერმანიის მთავრობას ექნება მოქმედების საჭირო თავისუფლება იმ პერიოდში, სანამ საზავო ხელშეკრულება ძალაში შევიდოდეს.

მაგრამ სრულიად გერმანიის მთავრობის არავითარ „მოქმედების თავისუფლებაზე“ არ შეიძლება ლაპარაკი ბონის სეპარატული „შეთანხმების“ არსებობისას, სადაც მე-7 მუხლიდან პირდაპირ ჩანს, რომ ერთიანი გერმანიის შექმნის თვით შესაძლებლობა განპირობებულია იმით, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობებს აუცილებლად დაეტოვოს ყველა ის პრივილეგია, რომლებიც გათვალისწინებულია ბონის „შეთანხმებით“ და რომლებიც გერმანიას უსპობენ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას.

სავსებით ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები, ხელს აწერს რა ბონის სეპარატულ „შეთანხმებას“, ნამდვილად არ ესწრაფვის გერმანიის გაერთიანებას, სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნას და მისთვის მოქმედების თავისუფლების ნამდვილად მინიჭებას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 10 ივლისის ნოტაში აღძრული საკითხი სრულიად გერმანიის მოსავალი მთავრობის „მოქმედების თავისუფლების“ გარანტიების შესახებ წარმოადგენს ყალბ ფრაზას, რომლის მიზანია დაფაროს დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობათა მისწრაფება მთლიანად დაიმორჩილონ გერმანია თავიანთი აგრესიული მიზნებისათვის.

რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა 10 ივლისის ნოტაში აყენებს სრულიად გერმანიის მთავრობის თავისუფალი მოქმედების გარანტიების საკითხს, რაც უშუალოდ დაკავშირებულია სრულიად გერმანიის მთავრობის უფლებამოსილების საკითხთან, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მოგაგონოთ, რომ საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხში ამომწურავად იყო ჩამოყალიბებული მის 24 მაისის ნოტაში. ამ ნოტაში ნათქვამი იყო: „რაც შეეხება სრულიად გერმანიის მთავრობასა და მის უფლებამოსილებას, ცხადია, ეს მთავრობაც უნდა ხელმძღვანელობდეს პოტსდამის დადგენილებებით, ხოლო საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ — საზავო ხელშეკრულების დადგენილებებით, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარებას“. ეს პირდაპირ გამომდინარეობს პოტსდამის შეთანხმებიდან, რომლითაც განსაზღვრულია ის პრინციპები, რომლებზეც უნდა აიგოს გერმანიის სახელმწიფო, — მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული, დამოუკიდებელი, ერთიანი გერმანიის სახელმწიფო. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მთელი საქმიანობა დასავლეთ გერმანიაში აშკარად ეწინააღმდეგება ამ პრინციპებს.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დამახინჯებულად განმარტავს საბჭოთა მთავრობის მიერ 24 მაისის ნოტაში პოტსდამის გადაწყვეტილების დამოწმებას და საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ამ ნოტის მხედველობაში აქვს „კონტროლის ოთხმხრივი სისტემის ხელახლა შექმნა“, თუმცა სინამდვილეში საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტაში ლაპარაკია არა კონტროლის ოთხმხრივი სისტემის ხელახლა შექმნაზე, არამედ იმაზე, რომ საჭიროა დაცულ იქნეს პოტსდამის შეთანხმების პრინციპები გერმანიის როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენის შესახებ.

4. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა 10 ივლისის ნოტაში კვლავ აყენებს გერმანელი ხალხის უფლების საკითხს „მშვიდობიანი მიზნებით გაერთიანდეს სხვა ერებთან“ და დადოს სათანადო შეთანხმებანი. ამის გამო საბჭოთა მთავრობის 9 აპრილის ნოტაში უკვე აღნიშნული იყო, რომ „საზავო ხელშეკრულების საფუძვლების“ საბჭოთა პროექტში არის დებულება გერმანიის ვალდებულების შესახებ „არ შევიდეს რაიმე კოალიციაში ან სამხედრო კავშირში, რომელიც მიმართულია ყველა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლებიც თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში“. როგორც სავსებით ცხადია, ეს დებულება არავითარ შემთხვევაში არ ლახავს გერმანიის უფლებას გაერთიანდეს სხვა ერებთან მშვიდობიანი მიზნებისათვის. მაგრამ ეს დებულება გამორიცხავს გერმანიისათვის იმის შესაძლებლობას, რომ გაერთიანდეს ისეთ დაჯგუფებებთან, როგორიც არის, მაგალითად, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი, რომელიც აგრესიულ მიზნებს ისახავს და, რომლის საქმიანობა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების საფრთხეს ქმნის. საბჭოთა მთავრობას კვლავ მიაჩნია, რომ ასეთი დებულება არ შეიცავს გერმანიის სახელმწიფოს სუვერენული უფლებების შეუწყნარებელ შეზღუდვას და რომ ასეთი დებულება შეესაბამება ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებებს გერმანიის საკითხზე და სავსებით შეეფერება, როგორც გერმანიის ყველა მეზობელი სახელმწიფოს ინტერესებს, ისე თვით გერმანიის ეროვნულ ინტერესებსაც.

5. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა 10 ივლისის ნოტაში ეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების განმტკიცების ღონისძიებებს, რომლებიც ამჟამად ხორციელდება, და აცხადებს, რომ ეს ღონისძიებანი ვითომდა „აღრმავებენ გერმანიის გათიშვას“ და ვითომდა მიმართულია იქითკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კონტაქტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ გერმანიაში მცხოვრებ გერმანელთა შორის.

ასეთი განცხადება სრულიად უნიადაგოა. როგორც ცნობილია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ფართოდ გამოაქვეყნა, რომ აღნიშნული ღონისძიებანი ხორციელდება მოსახლეობის თხოვნით, რომელსაც ზარალს აყენებენ ჯაშუშები, დივერსანტები, ტეროროსტები და კონტრაბანდისტები, რომელთაც პროვოკაციული მიზნებით გზავნიან გერმანიის დასავლეთი ზონებიდან, რასაც ბერლინი კავშირი აქვს რემილიტარიზაციასა და ახალი ომის მომზადებაში დასავლეთ გერმანიის ჩაბმის პოლიტიკასთან, რომელიც დასავლეთ გერმანიაში ხორციელდება.

6. პასუხად საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტის წინადადებისა — დაუყოვნებლივ დაწყოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხების ერთობლივი განხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია გერმანიის საზავო ხელშეკრულების შემუშავება მანამდე, სანამ სრულიად გერმანიის მთავრობა შეექმნებოდეს, და რომ ამის გამო ახლა მხოლოდ გერმანიის გამომკვლევი კომისიის შექმნას უნდა დავჯერდეთ. მაგრამ ასეთი მტკიცება არ შეესაბამება პოტსდამის შეთანხმებას, რომელმაც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დაკისრა მოვალეობა „მოამზადოს გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგება, რათა შესაბამისი დოკუმენტი მიიღოს ამ მიზნისათვის გამოსადეგმა გერმანიის მთავრობამ, როცა ასეთი მთავრობა შეიქმნება“.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, ისევე, როგორც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების უარი—შეემუშაონ საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან მანამდე, სანამ სრულიად გერმანიის მთავრობა შეექმნებოდეს. არასწორი და სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა განუსაზღვრელად დიდიხანით გადაგვედო ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა, როგორიც არის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების და გერმანიის ერთიანობის აღდგენის საკითხი. როგორც ამას მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები.

როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინადადებანი ნაგარაუდევია იმისათვის, რომ კვლავ განუსაზღვრელად დიდი ხნით გაჭიანურონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის ერთიანობის აღდგენის საკითხის განხილვა, — მაშასადამე განუსაზღვრელი ვადით დატოვონ მოკუპირებული ჯარები გერმანიაში.

7. გერმანიაში საყოველთაო თავისუფალი არჩევნების მოწყობისათვის პირობების არსებობის შემმოწმებელი კომისიის შემადგენლობის საკითხზე საბჭოთა მთავრობის პოზიცია უკვე ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა მთავრობის 9 აპრილისა და 24 მაისის ნოტებში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებს საერთაშორისო კომისიის მიერ გერმანიის გამოკვლევის რადიკ უპირატესობის შესახებ. მაგრამ გერმანიის გამომკვლევი საერთაშორისო კომისიის შექმნის წინადადება და, ამრიგად, გამოკვლევის ობიექტად გერმანიის გადაქცევა შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ როგორც გერმანელი ერის შეურაცხყოფა. ასეთი წინადადების წამოყენება მხოლოდ იმათ შეეძლოთ, ვისაც ავიწყდება, რომ გერმანია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საპარლამენტო რეჟიმის პირობებში ცხოვრობდა, იქ ხდებოდა საყოველთაო არჩევნები და იყო ორგანიზებული პოლიტიკური პარტიები და რომ ამიტომ გერმანიას ისეთი მოთხოვნებს ვერ წავუყენებთ, როგორსაც ჩვეულებრივ ჩამორჩენილ ქვეყნებს უყენებენ.

რაც შეეხება გერმანიაში საყოველთაო თავისუფალი არჩევნების მოწყობისათვის პირობების არსებობის შემმოწმებელი კომისიის შემადგენლობას, ყველაზე ობიექტური იქნებოდა კომისია, რომელსაც ოთხი სახელმწიფოს თანხმობით შექმნიდნენ თვითონ გერმანელები გერმანელებისაგან — ვთქვათ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის წარმომადგენელთაგან. ასეთი კომისია, რომელიც გერმანელებს არ შეურაცხყოფდა, ამასთანავე პირველი ნაბიჯი იქნებოდა გერმანიის გაერთიანების გზაზე.

რაც შეეხება გერმანიის გამოკვლევას იმ მიზნით, რომ შემოწმებულ იქნას, არსებობს თუ არა პირობები სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად, თავისთავად გასაგებია, რომ პირველი საქმეა — შევამოწმოთ რამდენად სრულდება პოტსდამის კონფერენციის ისეთი გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელებაც წარმოადგენს სრულიად გერმანიის ნამდვილად თავისუფალი არჩევნების და გერმანელი ხალხის ნების გამომხატველი სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის პირობას. პოტსდამის კონფერენციის ასეთი გადაწყვეტილებაა გადაწყვეტილება დემილიტარიზაციის შესახებ, რათა როგორც ნათქვამია პოტსდამის შეთანხმებაში, — „სამუდამოდ თავიდან აცილებულ იქნას გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის აღორძინება ან რეორგანიზაცია“, რომ „გერმანია ვერასოდეს ვეღარ დაემუქროს თავის მეზობლებს ან მთელ მსოფლიოში მშვიდობიან შენარჩუნებას“. ასეთი გადაწყვეტილებაა განხორციელება გერმანიის შესახებ პოტსდამის შეთანხმებით გამოცხადებული პოლიტიკური პრინციპებისა, რომლებიც გვაკავშირებენ: „ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და მისი ფილიალების და მის კონტროლქვეშ მყოფი ორგანიზაციების მოსპობას, მთელი ნაცისტური დაწესებულებების ტაშლას, იმის უზრუნველყოფას, რომ ისინი ვერ აღორძინდნენ ვერავითარი ფორმით, და ყოველგვარი ნაცისტური და მილიტარისტული საქმიანობის ან პროპაგ

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ ანგარიშგება-არჩევნებს

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში ამჟამად წარმოებს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები. პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე, რომლებიც ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების დაუნდობელი მხილების ნიშნით მიმდინარეობს, კომუნისტები აყენებენ ბევრ საყურადღებო წინადადებას. პარტიული კრებები და კონფერენციები სახავენ საქმიან პრაქტიკულ ღონისძიებებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მანკიერი სტილით მუშაობის შედეგად დაშვებული შეცდომების სრული ლიკვიდაციისათვის, მთელი პარტიული და სამეურნეო მუშაობის გარდასაქმნელად საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე.

მაგრამ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში შემჩნეულია მთელი რიგი ნაკლოვანებანი, ხოლო ზოგიერთ ორგანიზაციაში არჩევნების წესების უხეში დარღვევაც კი. არჩევნების ინსტრუქციის უხეშ დამახინჯებას ჰქონდა ადგილი ქალაქ თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე დაუშვეს დახურულ (ფარულ) კენჭისყრაში პარტიის წევრობის კანდიდატების მონაწილეობა. აღნიშნული პარტიული კრება ჩატარდა მოუმზადებლად, სათანადო ხელმძღვანელობის გარეშე. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნებმა ამხ. გ. ზედგინიძემ და ამხ. გ. ჯიბლაძემ, რომლებიც ამ კრებას ესწრებოდნენ, ვერ გამოიჩინეს პარტიული ხელმძღვანელისათვის საჭირო უნარი და მთელი საქმე თვითდინებას მიანდეს. ამის შედეგი იყო, რომ კრებაზე არ იგრძნობოდა ელემენტარული წესრიგი: კრება დაიწყო დაგვიანებით, ზოგიერთი კომუნისტი მთვრალი გამოცხადდა და ა. შ.

ამას წინათ ჩვენი კორესპონდენტი იტყობინებოდა ნაკლოვანებების შესახებ აბაშის რაიონული პარტიული კონფერენციის მუშაობაში, სადაც შეცდომათა და დამახინჯებათა კრიტიკამ ვერ დაიკავა მისთვის შესაფერი ადგილი. ასეთივე მდგომარეობა იყო კასპის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე.

საჭიროა გავაძლიეროთ პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებისადმი ხელმძღვანელობა, არ დავუშვათ ამ საქმეში თვითდინება და უყურადღებობა, უზრუნველვყოთ მუშაობის ნაკლოვანებათა დაუნდობელი მხილება ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე, მტკიცედ დავიცვათ შინაპარტიული დემოკრატია. თვითეულმა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ, კონფერენციამ უნდა შეძლოს მოცემული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ღრმა ანალიზის გაკეთება და ნამდვილი ქმედითი ღონისძიებების დასახვა მუშაობის ბოლომდე გარდაქმნისათვის.

ცნობამ ჩვენი პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ და სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ამ ყრილობის დირექტივების პროექტის, აგრეთვე. წესდების შეცვლილი ტექსტის პროექტის გამოქვეყნებამ ყოველი კომუნისტის, თვითეული საბჭოთა მშრომელის უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა გამოიწვია. ამ აქტივობის ქმედითი ძალა მიმართულ უნდა იქნას მთელი ჩვენი მუშაობის შემდგომი, ახალი აღმავლობისაკენ.

მუშაობა პრაქტიკამაყოფილებლად ცნეს

კასპი. (საკ. კორ.). დიდი ხანია სერიოზულად არის ჩამორჩენილი კასპის რაიონი. წლობით არ სრულდება მოსავლიანობისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმები. რაიონის მტს-ები აღჭურვილი არიან ძმლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, კადრებით, მაგრამ რატომღაც დღემდე ვერ ახერხებენ ყველა ამ შესაძლებლობის რაციონალურად გამოყენებას. რაიონი წელსაც ჩამორჩენილია.

სამეურნეო მშენებლობის წარმატებანი სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონეზე. კასპის რაიონს შეეძლო თავი დაეღწია ჩამორჩენისათვის, პარტიის რაიკომს მეტი ყურადღება რომ მიექცია პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის, დაერაზმა პარტიული ორგანიზაციები, მშრომელი მასები საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი განვითარებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის.

რაიკომის ყოფილმა მდივნებმა ა. ჭიჭინაძემ, ა. გორგოლაძემ და ა. ბურდულმა, განყოფილებათა ყოფილმა გამგეებმა ზ. ჭიჭინაძემ და ლ. გურგენიძემ კადრებთან მუშაობის საქმეში დაუშვეს უხეში შეცდომები, აღზრდის მეთოდებს ცვლიდნენ შიშველი ადმინისტრირებით. რაიკომი ცუდად ეხმარებოდა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის გარდაქმნაში, ახმობდა კრიტიკასა და თვითკრიტიკას, განსაკუთრებით კრიტიკას ქვემოდან. მშრომელთა ასობით განცხადება და წერილი თვეობით და წლობით უშედეგოდ ეწყო რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელ მუშაკთა მაგიდის უჯრებში. უხეშად მახინჯდებოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, ნიავდებოდა საკოლმეურნეო ქონება, იტაცებდნენ საზოგადოებრივ მიწებს.

რაიკომის ბიუროს მუშაობაში არ იყო კოლეგიალობა, ყოფილ მდივნებს შორის ადგილი ჰქონდა კინკლაობას, ურთიერთისადმი უნდობლობას. რაიკომი სუსტად იბრძოდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მუშაობის გარდასაქმნელად, რაიონში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ამიტომ მით უფრო საკვირველია ის, რომ რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, შედარებით უფერულად ჩაიარა. ნაკლებად თვითკრიტიკული იყო საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივნის ამხ. ლ. ჯავახიშვილის საანგარიშო მოხსენება. პარტიული მუშაობის ნაკლოვანებათა მკაცრ კრიტიკას მოერიდა კამათში გამოსული ბევრი ამხანაგი.

საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

კასპის შიფერის ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. ხორგუაშვილმა 17 წუთის განმავლობაში ილაპარაკა საწარმოო გეგმების შესრულების, ბინათმშენებლობის, ქარხნის კეთილმოწყობის, ნახშირისა და ხე-ტყის შემოზიდვის, რაიონში ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების, საკოლმეურნეო საბაჭრო ფარდულების მუშაობის, სარწყავი არხის მშენებლობის შესახებ. მაგრამ ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე.

კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ამხ. რ. მაღლაფერიძემ ილაპარაკა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობაზე და ხოტბა შეასხა კასპის მტს-ის დირექტორს ამხ. ხორიაშვილს ჩინებული მუშაობისათვის. კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო წესდების დარღვევის აღმაშფოთებელი ფაქტები იყო, მაგრამ ამხ. მაღლაფერიძემ საჭიროდ არ ჩათვალა ამაზე ეთქვა რაიმე. მან სრულებით არაფერი თქვა აგრეთვე პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის მდგომარეობაზე, იმაზე, რომ სწორედ ამ პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც რაიკომის გვერდით არის, მუშაობა ყველაზე ცუდად იყო დაყენებული. რაიკომის მუშაკები მის დასახმარებლად „ვერ იცლიდნენ“.

რაიკომის კრიტიკას და პარტიული მუშაობის საკითხებს სრულიად აუარეს გვერდი თავიანთ სიტყვებში კასპისა და სამთავისის მტს-ების დირექტორების მოადგილეებმა პოლიტიკურ ნაწილში ამხ. შ. დაბრუნდაშვილმა და ა. ღუდუშაურმა, მეტეხის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ტ. ოდიშაშვილმა. ნამდვილად კი კასპისა და სამთავისის მტს-ების პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. სამთავისის მტს-ის პარტიულ ორგანიზაციაში ჩაშლილია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მოუმზადებლად იწვევენ პარტიულ კრებებს, არ ეწყობა ლექციები, პოლიტიკური მოხსენებები, მექანიზატორთა შორის სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურად არის გაშლილი, მივიწყებულია მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა. რაიკომის ბევრი მუშაკი ამ პარტიულ ორგანიზაციაში მხოლოდ ცნობების ასაღებად მიდიოდა და პრაქტიკულ დახმარებას არ უწევდა მას.

დანაშაულებრივად ჭიანურდება თეზი-ოკამის სარწყავი არხის მშენებლობა. არის დაბალხარისხოვნად შენების აღმაშფოთებელი ფაქტები. მშენებლობაზე ჩამორჩენილია პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივი მუშაობა. ხოლო არხის მშენებლობის უფროსმა ამხ. კაციტაძემ, რომელიც კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა, გვერდი აუარა ნაკლოვანებებს და შეეცადა გაემართლებინა არხის მშენებლობის ყოფილი უფროსის ამხ. სულაძის მოუქნელი, უპასუხისმგებლო მუშაობა.

გააშუქა რა რაიონში კომკავშირული მუშაობა, კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. ო. მაღალაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საჭირო ყურადღებას არ აქცევს ახალგაზრდობის აღზრდას. პარტიული მუშაკები იშვიათად ესწრებიან კომკავშირულ კრებებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კასპის რაიონული განყოფილების უფროსმა ამხ. ფ. ბიწაძემ მკაცრად გააკრიტიკა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები და რაიკოოპკავშირი არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის.

კრიტიკული იყო რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო მშენებლობის განყოფილების გამგის ამხ. ი. იტრიევის გამოსვლაც. მან გააკრიტიკა სასოფლო საბჭოების აღმასკომები და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები საგზაო მშენებლობისადმი უდარდელი დამოკიდებულებისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ცემენტის ქარხნის პარტბიუროს მდივანმა გ. მთეშვილმა, კასპის პირველი უბნის სახალხო მოსამართლემ ს. გიორგაძემ და სხვებმა. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილების გამგე ამხ. გ. ჯობაძე.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

• • •

რაიკომის პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ლ. ჯავახიშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ა. ბასიაშვილი, ხოლო მდივნად — ამხ. ი. მუხიგულაშვილი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო აღმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ ინახულა ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი

24 აგვისტოს მოსკოვში მყოფმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ ინახულა ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და შეამკო იგი გვირგვინით, რომელსაც ჰქონდა შემდეგი წარწერა: „რევოლუციის დიდ მასწავლებელს ვ. ი. ლენინს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის დელეგაციისაგან“.

ჯოუ ენ-ლაის თან ახლდნენ სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის მოადგილე ჩენ იუნი, სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოსთან არსებული საფინანსო-ეკონომიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ფუ-ჩუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჯან ვენ-ტიანი, სახალხო-რევოლუციური სამხედრო საბჭოს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე სუ იუი, მძიმე მრეწველობის მინისტრი ვან ხაო-შოუ, სათბობი მრეწველობის მინისტრი ჩენ იუი, საფინანსო-ეკონომიური კომიტეტის სამდივნოს უფროსი სუნ შაო-გენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი იუ ია-ლოუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის მოადგილე ლო შუნ-ჩუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არტილერიის სარდლის მოადგილე ციუ ჩუან-ჩენი, შინაანათმშენებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვან დაო-ხანი, ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მინისტრის მოადგილე ვან ჯენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური მდივანი ში ჯი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების უფროსი სიუი ი-სინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის განყოფილების უფროსი ჩენ ძია-კანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მთელი შემადგენლობა. (საკდესი).

გავაუმჯობესოთ დრამატული თეატრების რეპერტუარი

ექვსი წლის წინათ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიიღო დადგენილება „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დრამატული თეატრების რეპერტუარის ღრმა ანალიზთან ერთად აღნიშნული დადგენილება გვაძლევს საბჭოთა თეატრალური ხელოვნებისა და დრამატურგიის შემდგომი განვითარების ნათელ პროგრამას. მტკიცედ ხელმძღვანელობდნენ რა აღნიშნული დადგენილებით, საბჭოთა დრამატურგებმა თეატრებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად შექმნეს თანამედროვეობის ამსახველი მთელი რიგი მაღალხარისხოვანი ნაწარმოებნი.

უკანასკნელ წლებში ქართველმა მწერლებმა დაწერეს რამდენიმე პიესა, რომლებიც დაიდგა ჩვენი რესპუბლიკის წამყვან თეატრებში. ამ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებიან: ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“ და „ძისი ვარსკვლავი“, მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, მ. ბარათაშვილის „მარინე“, ვ. პატარაიას „უჩა უჩარდია“, გ. მდივნის „ვარდო“ და „კეთილი ნების ადამიანები“, ი. ვაკელის „რვალი“ და სხვ.

თანამედროვეობის თემაზე შექმნილი პიესების დადგმით რამდენადმე გაუმჯობესდა ჩვენი რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარი, მაგრამ თეატრების თანამედროვე რეპერტუარი, როგორც თავისი ხვედრითი წონით, ისე იდეურ-მხატვრული დონით მეტად ჩამორჩება იმ დიდ მოთხოვნებს, რასაც საბჭოთა ხალხი უყენებს მოწინავე თეატრებს.

ქართული დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების მიღწევები ბევრად უფრო დიდი იქნებოდა, ჩვენი მწერლები, თეატრები და ხელოვნების დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები რომ არ შეჩვეოდნენ მიღწეულით დაკმაყოფილებას, თვითდამშვიდებას, საზეიმო პარადული განწყობილების იმ ატმოსფეროს, რომელსაც ნერგავდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროშიც.

საბჭოთა დრამატურგიის ჩამორჩენის მთავარ მიზეზს, აღნიშნავს გაზეთი „პრავდა“, კრიტიკოსებისა და დრამატურგების მიერ სოციალისტური რეალიზმის პრაქტიკის და თეორიის ზოგიერთი საკითხის და პირველ რიგში კონფლიქტის საკითხის არასწორი გაგება წარმოადგენდა. უკანასკნელ წლებში საბჭოთა ლიტერატურაში გავრცელებული იყო ეგრეთწოდებული კონფლიქტების გაჭრობის ვულგარული „თეორია“, რომელიც ქადაგებდა, რომ თანამედროვე საბჭოთა პიესების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია უკონფლიქტობა, რომ თითქოს ჩვენს სინამდვილეში ადგილი არა აქვს უარყოფით ტიპებს და კონფლიქტი არსებობს მხოლოდ კარგსა და უკეთესს შორის.

ამ ვულგარულმა „თეორიამ“ უარყოფითი გავლენა იქონია ქართული დრამატურგიის განვითარებაზეც. მსგავსი შეხედულების თავისებურ გამოხატულებას წარმოადგენდა უკანასკნელ წლებში ქართულ ლიტერატურაში გავრცელებული აზრი, რომ ლიტერატურის მთავარი, გადამწყვეტი ჟანრია პროზა, რომ მხატვრულ პროზას უდიდესი უპირატესობა აქვს ყველა სხვა ლიტერატურულ ჟანრებთან შედარებით. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ დრამატურგიის განვითარებისათვის ხელის შეწყობისა და დრამატურგიის თეორიის საკითხების დამუშავების ნაცვლად თავის ფურცლებზე ადგილს უთმობდა ისეთ სტატიებს, რომლებიც არსებითად უგულებელყოფდნენ დრამატურგიისა და პოეზიის დიდ მხატვრულ მნიშვნელობას.

გასული წლის თეატრალური სეზონის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი თეატრების რეპერტუარი კვლავ განიცდის თანამედროვე მაღალმხატვრული პიესების მწვავე ნაკლებობას.

რუსთაველის თეატრმა გასულ სეზონში დადგა გ. სუნდუკიანის პიესა „პეპო“. თეატრმა სამართლიანად წამოსწია წინა პლანზე პიესის ძირითადი, სოციალური იდეა, მკვეთრად დაუპირისპირა სავახშო კაპიტალიზმის მძარცველური ბუნება ღარიბი მდაბიო მოქალაქის დუხჭირ ცხოვრებას და ნათლად აჩვენა მოტყუებისა და სოციალური უსამართლობის შედეგად უბრალოდ დასჯილი ადამიანების ტრაგიკული ბედი. სპექტაკლის დადგმას ფართოდ გამოეხმაურა საქართველოსა და მომიჯნავე რესპუბლიკის პრესა და თეატრალური საზოგადოებრიობა.

კომკავშირული ახალგაზრდობის ინიციატივით და მონაწილეობით თეატრმა დადგა იულიუს ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“. სპექტაკლმა გვიჩვენა რუსთაველის თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდების შემოქმედებითი ზრდა.

თანამედროვე ორიგინალური პიესებიდან თეატრმა უჩვენა ი. ვაკელის „რვალი“ და პ. კაკაბაძის „ბედნიერი სამშედლო“.

ი. ვაკელის პიესა „რვალი“ შეეხება მეტად აქტუალურ საკითხს — ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთებთან ბრძოლას. მლიქვნელობის და მაამებლობის წინააღმდეგ ბრძოლა, კერძო-მესაკუთრული ტენდენციების დაძლევა, საზოგადოებრივი ინტერესების პირად ინტერესებზე მაღლა დაყენება, წარმოების პროცესების გაუმჯობესება და შრომის ნაყოფიერების ზრდა — აი ის საკითხები, რომლებიც დასმულია დრამატურგის მიერ აღნიშნულ ნაწარმოებში.

სამწუხაროდ, ეს არ შეიძლება ითქვას პიესა „ბედნიერი სამშედლოს“ შესახებ. პიესა ეკუთვნის ცნობილი დრამატურგის პ. კაკაბაძის კალამს, დაწერილია კარგი ენით. მაგრამ მას არა აქვს დრამატული კვანძი, სუჟეტური მთლიანობა. პიესა მხოლოდ მოგვითხრობს გმირებზე და არ გვიჩვენებს მათს თვისებებსა და სულიერ სამყაროს.

რუსთაველის თეატრის გასული სეზონის ჩავარდნად უნდა ჩაითვალოს დ. კლდიაშვილის პიესა „დარისპანის გასაჭირის“ უხეირო დადგმა. თეატრმა ვერ გაიგო პიესის დედა-აზრი. მნიშვნელოვანი ფორმალისტური ხასიათის შეცდომებია დაშვებული სპექტაკლში „ყაჩაღები“, რომელიც თითქმის უცვლელად არის რესტავრირებული. „ყაჩაღების“ იმ სახით აღდგენა, როგორც ეს განახორციელა რუსთაველის თეატრმა, მიზანშეუწონლად და გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

გასული წლის თეატრალური სეზონის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „მისი ვარსკვლავი“, რომელსაც სტალინური პრემია მიენიჭა. დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის საიუბილეო დღეებში თეატრმა მაყურებელს უჩვენა კარგი დადგმა — მწერლის გენიალური კომედია „რევიზორი“. მარჯანიშვილის თეატრში ერთგვარი წარმატება ხვდა წილად დრამატურგ კ. ბუაჩიძის პიესას „ვარდი ასფურცლოვანი“. მაგრამ როგორც პიესას, ისე სპექტაკლს არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებს. პიესის ძირითადი თემა, მთავარი სიუჟეტური ხაზი ავტორის მიერ არ არის მკაფიოდ ნაჩვენები, პიესა მოკლებულია დრამატულ სიმძაფრეს, გმირთა მოქმედება შეცვლილია მოსწრებული, მაგრამ ზოგჯერ იაფფასიანი რეპლიკებით.

რესპუბლიკის მოწინავე თეატრებს შორის უნდა აღინიშნოს სუხუმის თეატრის კოლექტივის მუშაობა. თეატრმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების შედეგად მნიშვნელოვან შემოქმედებითს წარმატებებს მიაღწია. თეატრის დასი შეივსო ნიჭიერი მსახიობებით, ამაღლდა სპექტაკლების მხატვრული დონე. სუხუმის თეატრის გასული სეზონის მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს სპექტაკლები „ალანის ოჯახი“ და „მდაბიონი“.

ქუთაისისა და ბათუმის თეატრებმა სარეპერტუარო გეგმების შეუსრულებლობისა და მხატვრული მუშაობის ჩაშლის გამო სეზონი ცუდი შედეგებით დაამთავრეს. ახალგაზრდა დრამატურგის ა. აბშილავას პიესაში „ჩვენთან მთებში“, რომელიც ქუთაისის თეატრმა დადგა, არ ჩანს თანამედროვე სოფლის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აღმავლობა, სქემატურად არის ნაჩვენები კოლმეურნის კერძომესაკუთრული ტენდენციის დაძლევის, მისი გარდაქმნის პროცესი. თეატრმა მაყურებელს მიაწოდა ნედლი და უფერული სპექტაკლი, რომელშიც არ იგრძნობა მხატვრული გულწრფელობა და დამაჯერებლობა. ფორმალისტურ რეციდივებს შეიცავს თეატრის მიერ აღდგენილი სპექტაკლი „ნინოშვილის გურია“.

თეატრების მუშაობაში დაშვებული ზემოაღნიშნული შეცდომები და ჩავარდნები მნიშვნელოვანწილად თავიდან იქნებოდა აცილებული, ხელოვნების საქმეთა სამმართველო, მისი თეატრალური განყოფილება უფრო მეტ მზრუნველობასა და ყურადღებას რომ იჩენდნენ თეატრების რეპერტუარის გაუმჯობესებისა და თანამედროვე სპექტაკლების შექმნის საქმეში.

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების გაზრდილ ამოცანებს დიდად ჩამორჩება ქართული რეჟისურა. უკანასკნელი წლების მანძილზე თანამედროვე პიესებზე მუშაობისას ბევრმა ქართველმა რეჟისორმა განიცადა შემოქმედებითი მარცხი. ეს გარემოება არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ თანამედროვე პიესების სისუსტით, რადგან მხატვრულად შედარებით კარგი ღირსების მქონე რამდენიმე პიესის დადგმაც ჩავარდა. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ კლასიკური დრამატურგიის ზოგიერთი ცნობილი ნაწარმოებნი ვერ დამკვიდრდნენ ქართული თეატრების რეპერტუარში, სწორედ რეჟისორთა სუსტი მუშაობით აიხსნება.

დედაქალაქის მაყურებელთა სამართლიანი საყვედური და მოთხოვნა შეეხება პირველ რიგში რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რეჟისურას, რომელიც უკანასკნელ წლებში, საკმაოდ ვერ იყენებს რა ნიჭიერი კოლექტივების დიდ შემოქმედებით შესაძლებლობას, ვერ ქმნის მაღალმხატვრულ მონუმენტურ სპექტაკლებს.

ნიჭიერ ქართველ რეჟისორებს ვ. უუშიტაშვილს, ა. თაყაიშვილს, ს. შელიძეს, გ. ჟურულს უკანასკნელ წლებში არ შეუქმნიათ ისეთი სპექტაკლები, რომლებიც მიიპყრობდნენ ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღებას, დაიმსახურებდნენ მაღალ ჯილდოს — სტალინურ პრემიას. რეჟისორთა მუშაობაში არ იგრძნობა ახალი სიტყვა, მხატვრული ამოცანის გაბედული შემოქმედებითი გადაწყვეტა, გააზრების სიღრმე და მრავალფეროვნება. ზოგიერთი სპექტაკლი მაყურებელზე შემოქმედებითი შეზიდულობისა და თეატრალური შტამპის შთაბეჭდილებას ტოვებს. რეჟისორული აზროვნების განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს რეჟისორთა შემოქმედებითი კავშირის უქონლობა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების უგულებელყოფა.

თეატრები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ დრამატურგებთან, საკმაოდ არ ეხმარებიან მათ ნაწარმოების იდეური და მხატვრული სრულყოფის საქმეში, სუსტია შემოქმედებითი თანამშრომლობა თეატრებსა და დრამატურგებს შორის. თეატრების სამხატვრო საბჭოებში ახალი პიესებისა და სპექტაკლების მხატვრულ ღირსებათა შეფასებისას არ იგრძნობა პრინციპული შემოქმედებითი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

მწერალთა კავშირის დრამატული სექცია ზოგჯერ რეკომენდაციას აძლევს იდეურად და მხატვრულად სუსტ პიესებს. მწერალთა კავშირი იშვიათად აწყობს ცალკეული პიესებისა და სპექტაკლების ფართო შემოქმედებით განხილვას.

ამჟამად რესპუბლიკის თეატრები ემზადებიან 1952-1953 წლის თეატრალური სეზონისათვის. დრამატურგებმა ს. კლდიაშვილმა, ვ. გაბესკირიამ, გ. ნახუცრიშვილმა, თ. დონეაშვილმა, გ. ქელბაქიანმა და სხვებმა დაწერეს პიესები თანამედროვე თემებზე, რომელთა დადგმა განზრახულია რესპუბლიკის თეატრებში. მაგრამ ეს სრულიად ვერ ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც თეატრების თანამედროვე რეპერტუარშია.

ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკები, შეიარაღებულნი საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებებით, ქართველ დრამატურგებთან მჭიდრო შემოქმედებით კავშირში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მზრუნველი ყურადღებით მთელ ძალღონეს გამოიყენებენ იმისათვის, რომ შექმნან ჩვენი ეპოქის ღირსეული, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი პათოსით აღსავსე ცხოვრების ამსახველი მაღალიდეური და მხატვრული სპექტაკლები.

ი. დოლიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი.

ორი სასკოლო შენობა

თეთრი წყაროს. (საკ. კორ.). დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა თეთრი წყაროს ქართული საშუალო სკოლის ოთხსართულიანი შენობა. სკოლას აქვს კარგად მოწყობილი კაბინეტები, საკმაოდ მოზრდილი ფიზკულტურული დარბაზი და სხვა დამხმარე ოთახები.

დამთავრდა აგრეთვე სოფელ ივანოვკის რვაწლიანი სკოლის შენობის აგება.

პრქიზექზორების კლუბი სანაპირო ქუჩაზე

სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩის იმ განშტოებაზე, რომელიც ამ ქუჩას გმირთა მოედანთან აერთებს, საქართველოს არქიტექტორების კავშირი იწყებს დიდი საკლუბო შენობის აგებას.

თბილისის საბჭოს აღმასკომმა ნება დართო არქიტექტორთა კავშირს შეუდგეს სამშენებლო მოედნის გამზადებას, მაგრამ წინასწარ გადარგოს არსებული მცენარეები სხვა ადგილას და ქუჩის მხრისაკენ დატოვოს 5-7 მეტრის სიგანის თავისუფალი ადგილი.

კლუბის შენობას 3.000 კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობი ექნება. მშენებლობას უნდა შეუდგნენ მომავალი წლის დასაწყისში და დაამთავრონ წლის ბოლომდე.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 23 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინაალმდეგ წინანდელ ზღუდეებზე. განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი.

ფხენიანი, 24 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ფრონტის ცალკეულ უბნებზე. ფრონტებზე არავითარი განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

ჰოლინენის მიმართვა სტივენსონისა და ეიზენჰაუერისადმი

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი იუწყება, პრეზიდენტობის კანდიდატმა პროგრესიული პარტიისაგან ვინსენტ ჰოლინენმა პრეზიდენტობის კანდიდატებს დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიებისაგან სტივენსონსა და ეიზენჰაუერს მიმართა წინადადებით — ერთობლივად მოუწოდონ ტრუმენს დაუყოვნებლივ დათანხმდეს კორეაში ომის შეწყვეტაზე. განცხადებაში პრეზიდენტობის ორივე კანდიდატისადმი ჰოლინენი წერს:

„ამერიკელი ხალხი ვერ მიმხვდარა, თუ რატომ იზოცებიან უსარგებლოდ ჩვენი ადამიანები ომში, რომლის ერთადერთი აშკარად გამოცხადეული მიზანია შევინარჩუნოთ ჩვენს ხელში სამხედრო ტყვეები. ამერიკელი ხალხი მზარს არ უშვერს ამ ომს. ეს საკითხი — კორეაში ომის საკითხი — თავისი მნიშვნელობით აღემატება წლევანდელი წლის, არჩევნების წლის პოლიტიკის ყველა საკითხს. ამიტომ გთხოვთ შემოიერთდეთ პრეზიდენტ ტრუმენისადმი მიმართვაში და ვთხოვოთ მას წინადადება მისცეს ჩვენს წარმომადგენლებს, რომლებიც მოლაპარაკებას ეწევიან კორეაში, დაუყოვნებლივ დადონ დროებითი ზავი, რათა შეწყდეს ცეცხლი უკვე შეთანხმებული სადემარკაციო ხაზზე და სამხედრო ტყვეების საკითხის მოწესრიგება მიენდოს ორივე მხარის სამოქალაქო წარმომადგენლებს. სამომავლოდ მოქმედების შეწყვეტის შემდეგ. რამდენადაც ჩვენმა მთავრობამ ხელი მოაწერა ეუნეკვის კონვენციას, რომელიც ითვალისწინებს ყველა სამხედრო ტყვის რეპატრიაციას, ამ საკითხის მოწესრიგება სიძნელეს ალარ უნდა წარმოადგენდეს“.

აარმიის გენერალ ვ. ი. ჩუიკოვის პროგესი

ბერლინი, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც გამოირკვა, ამა წლის 15 აგვისტოს პოტსდამში ამერიკის სამხედრო მისიის სამმა წევრმა — ორმა ოფიცერმა და ერთმა ჯარისკაცმა დაზვერვის მიზნით შეაღწია საბჭოთა სამხედრო ობიექტის ტერიტორიაზე, სადაც ისინი შეიპყრო საბჭოთა პატრულმა. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ არმიის გენერალმა ვ. ი. ჩუიკოვმა ამერიკელთა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლის სახელზე ამა წლის 21 აგვისტოს გაგზავნილ წერილში პროტესტი განაცხადა და მოითხოვა, რომ ხსენებული ოფიცრები და ჯარისკაცი დაუყოვნებლივ გაიწვიონ ამერიკის სამხედრო მისიის შემადგენლობიდან.

დარბაზობა რუმინეთის მინისტრთა საბჭოში
განთავისუფლების დღის აღსანიშნავად

ბუქარესტი, 23 აგვისტო. (საკდესი). დღეს რუმინეთის მინისტრთა საბჭოში დიდი დარბაზობა გაიმართა საბჭოთა არმიის მიერ რუმინეთის განთავისუფლების მერვე წლისთავის აღსანიშნავად.

დარბაზობაზე იყვნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. გეორგიუ-დეჟი, დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე დოქტორი პეტრუ გროზა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები იოსებ კიშინევსკი, გეორგე აპოსტოლი, მიორონ კონსტანტინესკუ, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ალექსანდრუ მოგიოროში, რუმინეთის შეიარაღებული ძალების მინისტრი არმიის გენერალი ემილ ბოდნარაში, საგარეო საქმეთა მინისტრი სიმიონ ბუგიჩი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები, მეცნიერებისა, ხელოვნების, ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოების სტახანოველები და მოწინავეები, პატრიარქი იუსტინიანე და სხვები.

დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი და სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ა. ი. ლავრენტიევი, საბჭოთა საელჩოს ხელმძღვანელი თანამშრომლები, მთელი რიგი სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლობათა რუმინეთში აკრედიტებული მეთაურები, აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა მთავრობების დელეგაციების წევრები, რომლებიც ჩამოვიდნენ რუმინეთის განთავისუფლების დღის ღღესასწაულზე.

დარბაზობამ მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

გაზეთი „დერ აბენდი“ ისრაელთან და თურქეთთან ამერიკის შეერთებული შტატების მოღალატეობის შესახებ

ვენა, 23 აგვისტო. (საკდესი). სათაურით — „ამერიკის შეერთებული შტატები ანიავებენ სირიისა და ლიბანის ტერიტორიებს“ — გაზეთმა „დერ აბენდმა“ გამოაქვეყნა საკუთარი კორესპონდენცია პარიზიდან. კორესპონდენციაში ნათქვამია:

„გენერალ რიჯუეის შტაბის წრეებში ადასტურებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ განახლდა მოლაპარაკება, ერთი მხრივ თურქეთსა და ისრაელს და მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის — აღმოსავლეთის ბლოკის შექმნის შესახებ.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე გამოთქვა „სრული გაგება“ თურქეთის მოთხოვნისა ალეპოს პროვინციაში სირიის ტერიტორიის ანექსიისა და ალექსანდრეტის გარშემო მდებარე თურქეთის ტერიტორიასთან ერთად თურქეთის „გამაგრებულ ზურგად“ მისი გადაქცევის შესახებ.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის წინადადებით გადაწყდა, რომ „შუა აღმოსავლეთში მდგომარეობის გამწვავებისას“ თურქეთის გენერალური შტაბი უშუალო კონტროლს გაუწევს სირიისა და ლიბანის სტრატეგიულ ბაზებს.

თავის მხრივ, ისრაელმა მოითხოვა ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუწესებელი სადემარკაციო ხაზის „შესწორება“ ლიბანის იმ ოლქების ხარჯზე, რომლებიც ხელეს ტბასთან და ლიბანის ერთ აღმოსავლეთ ოლქთან მდებარეობენ.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ბაიროუდის რეკომენდაციის საფუძველზე, ბაიროუდისა, რომელმაც ამას წინათ შუა აღმოსავლეთში იმგზავრა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა თანხმობა განაცხადა ამ დაგეგმილ „საზღვრების შესწორებაზე“ და ისრაელის დედაქალაქის იერუსალიმში გადატანაზე“.

ბერლინი

მსოფლიო პირველობა ფრენბურთში

მოსკოვში, „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე, გრძელდება შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე ფრენბურთში. დღითიდღე ბრძოლა სულ უფრო დაძაბული ხდება.

23 აგვისტოს მოხდა რვა შეხვედრა. მოედანზე პირველი გამოვიდნენ ლიბანისა და ფინეთის ვაჟთა გუნდები. შეჯიბრების შედეგი გადწყდა ბეოთხე პარტიაში. იგი დამთავრდა ანგარიშით 15:3 ლიბანეს გუნდის სასარგებლოდ.

პოლონეთის ვაჟთა გუნდმა მოუგო ისრაელის სახელმწიფოს გუნდს, პარტიების ანგარიშია 15:1, 15:4 და 15:1 პოლონელ ფრენბურთელთა სასარგებლოდ.

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ბულგარეთისა და რუმინეთის ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში. შეხვედრის ანგარიშია 3:1 ბულგარელ სპორტსმენთა სასარგებლოდ.

ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ვაჟთა გუნდების შეხვედრა. შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 3:2 ჩეხოსლოვაკიის გუნდის სასარგებლოდ, რომელიც დღემდე არ დამარცხებულა.

ბულგარეთის ქალთა გუნდმა, რომელმაც პირველი პარტია მოიგო ანგარიშით 15:5, მეორე პარტია წააგო უნგრელ სპორტსმენებთან ანგარიშით 9:15. მესამე და მეოთხე პარტიაც მწვავე ბრძოლით მიმდინარეობდა და დამთავრდა ბულგარეთის გუნდის სასარგებლოდ ანგარიშით 15:12 და 15:10.

პოლონელი და რუმინელი ფრენბურთელი ქალების შეხვედრაც ოთხ პარტიაში გადწყდა. პირველი პარტია ანგარიშით 15:10 მოიგო პოლონეთის გუნდმა, მეორე პარტია ანგარიშით 15:11 — რუმინეთის გუნდმა. შემდეგში პოლონელი ფრენბურთელები უფრო ძლიერად თამაშობდნენ და მოიგეს მესამე და მეოთხე პარტია ანგარიშით 15:5 და 15:7.

საფრანგეთის ქალთა გუნდი გუშინ შეხვდა ინდოელ სპორტსმენ ქალებს. სამ პარტიაში გამარჯვება მოიპოვეს ფრანგმა ფრენბურთელებმა ანგარიშით 15:6, 15:2 და 15:3.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ქალთა გუნდების შეჯიბრებამ. იგი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით, რომლებმაც სამი პარტია მოიგეს ანგარიშით 15:10, 15:5 და 15:6.

24 აგვისტოს გაიმართა შვიდი შეხვედრა.

ყურადღების ცენტრშია საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა. ფრენბურთში მსოფლიო პირველობაზე თამაშში სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა გუნდები დაუმარცხებლად მიდიან.

საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდი ეთამაშებოდა რუმინეთის გუნდს. შეჯიბრება დამთავრდა სსრ კავშირის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3:0. პირველი პარტია მან მოიგო ანგარიშით 15:5, მეორე — ანგარიშით 15:6 და მესამე — ანგარიშით 15:10.

ბულგარეთისა და საფრანგეთის ვაჟთა გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 3:1 ბულგარეთის გუნდის სასარგებლოდ.

ინდოეთის ფრენბურთელები შეხვდნენ ისრაელის სახელმწიფოს ვაჟთა გუნდს. ინდოელმა სპორტსმენებმა მოიგეს სამი პარტია ანგარიშით 15:6, 15:3 და 15:9.

პოლონეთის ვაჟთა გუნდმა სამი პარტია მოუგო ფინეთის გუნდს ანგარიშით 15:0, 15:1 და 15:2.

პოლონეთის ქალთა გუნდი, რომელიც ერთხელაც არ დამარცხებულა, შეხვდა ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენ ქალებს. გამარჯვება ანგარიშით 3:1 მოიპოვა პოლონეთის გუნდმა.

უნგრეთისა და საფრანგეთის ქალთა გუნდების შეჯიბრებაში გამარჯვება ხვდათ უნგრელ ფრენბურთელ ქალებს, რომლებმაც შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 3:1.

ბულგარეთისა და ინდოეთის ქალთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა ბულგარელ სპორტსმენთა გამარჯვებით, რომლებმაც მოიგეს სამი პარტია ანგარიშით 15:1, 15:4 და 15:4 (საკდესი).

X საჭადრაკო ოლიმპიადაზე

ჰელსინკი, 23 აგვისტო. (საკდესი). დღეს X საჭადრაკო ოლიმპიადაზე პირველ ფინალურ ჯგუფში საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა არგენტინის გუნდს. საბჭოთა გუნდში შედიან — გროსმაისტერები კერესი, სმისლოვი, გელერი და ბოლესლავსკი, არგენტინისაში — ნაიდორფი, ბოლბოჩანი, პილნიკი და როსეტო. კერეს-ნაიდორფის და გელერ-პილნიკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. სმისლოვ-ბოლბოჩანის, ბოლესლავსკ-როსეტოს პარტიების თამაში გრძელდება.

ჰელსინკი, 23 აგვისტო. (საკდესი). გროსმაისტერ სმისლოვისა და ბოლბოჩანის (არგენტინა) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ჰელსინკი, 23 აგვისტო. (საკდესი). ბოლესლავსკი-როსეტოს პარტიის დამთავრებისას საბჭოთა გროსმაისტერმა მნიშვნელოვნად გაძლიერა თავისი უპირატესობა და ზუსტი თამაშით მოიგო პარტია. ამრიგად, საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოუგეს არგენტინის გუნდს ანგარიშით $2\frac{1}{2}$:$1\frac{1}{2}$.

მესამე ტურის დანარჩენი შეხვედრები დაუმთავრებელი დარჩა.

ჯერჯერობით უნგრეთ-იუგოსლავიის მატჩის ანგარიშია $2\frac{1}{2}$: $\frac{1}{2}$ იუგოსლავიის სასარგებლოდ. შვეიცარ ორი პარტია მოუგო ფინეთს, ხოლო წაგო ერთი. ევანს (ამერიკის შეერთებული შტატები) — პახმანის (ჩეხოსლოვაკია) პარტია კვლავ გადაიდო. ამ გუნდებს ჯერჯერობით თანაბარი ანგარიში აქვთ $1\frac{1}{2}$:$1\frac{1}{2}$.

ჰელსინკი, 24 აგვისტო. (საკდესი). მეოთხე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები თავისუფალი იყვნენ თამაშისაგან.

დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხოსლოვაკია-არგენტინის მატჩმა. პირველ სამ დაფაზე მწვავე ბრძოლის შემდეგ ყველა პარტია ყაიმით დამთავრდა. მატჩის შედეგი დამოკიდებულია პილნიკ-კოტნაუწრის გადადებულ პარტიაზე, რომელშიც ჩეხ ოსტატს გამარჯვების ყველა შანსი აქვს.

შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა იუგოსლავია-ამერიკის შეერთებული შტატების შეხვედრაში. პირველ დაფაზე რეშევსკი ძნელ მდგომარეობაში ჩავარდა გლიგორიჩის წინააღმდეგ, მაგრამ გამჭრიახი დაცვით ამერიკელმა გროსმაისტერმა ბოლოს მაინც მიაღწია ყაიმს. ამ მატჩის სამი პარტია შესვენებამდე არ დამთავრებულა. გადადებული პოზიციების შეფასება საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ეს მატჩი იუგოსლავიის გუნდის დამარცხებით დამთავრდება.

უნგრეთის დიდი ანგარიშით $3\frac{1}{2}$: $\frac{1}{2}$ მოუგო ფინეთს. დასავლეთ გერმანია-შვეიცის მატჩში ჯერ-ჯერობით ორი პარტია დამთავრდა. ანგარიშია $1\frac{1}{2}$:$1\frac{1}{2}$ დასავლეთ გერმანიის სასარგებლოდ.

საბჭოთა კინოფილმების დიდი წარმატება ინგლისში

ლონდონი, 23 აგვისტო. (საკდესი). ამჟამად დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქის კინოთეატრებში უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს: „ყუბანელი კაზაკები“, „მამაცი ადამიანები“, „მიჩურინი“, „ბალეტის სოლისტი ქალი“, „თქმულება ციმბირის მიწის შესახებ“.

ხუთ ქალაქში აჩვენებენ ფილმს „ბერლინის დაცემას“, რომლის დემონსტრაცია მარტო ლონდონში ორ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა.

დიდი წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე საბჭოთა ფილმის „ცირკის არენის“ დემონსტრაცია. ამ ფილმის ჩვენება ამას წინათ დაიწყო ლონდონის კინოთეატრ „კონტინენტალში“. პრესა აღნიშნავს, რომ ფილმი მოწმობს საბჭოთა საცირკო ხელოვნების მაღალ დონეს.

მოელიან, რომ უახლოეს ხანში ლონდონის ეკრანებზე გამოუშვებენ კიდევ ორ საბჭოთა ფილმს — „მუსორგსკის“ და „დიდ კონცერტს“.

მაღაროელთა გაფიცვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც მონრეალის რადიო გადმოგვცემს, გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნახევარმა მილიონმა მაღაროელმა 10 დღით შეწყვიტა მუშაობა იმ მეშახტეთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების შახტებში დაიღუპნენ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად,

მაღაროელთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა წინადადება მისცა მეწარმეებს გამოიყენონ ეს ათი დღე მაღაროელთა შრომის დაცვის გასაუმჯობესებლად.

უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში
ჩარიცხულთა სია

ინგლისური ენის ფაკულტეტზე

მ. პ. აბაშიძე, ჯ. შ. ანდღულაძე, ლ. გ. ანდღულაძე, ლ. ვ. აროშიძე, ს. ლ. ასლანიანი, რ. ი. ბარგ, ა. ბ. ბაღდასაროვი, ლ. ტ. ბაყლიშვილი, ლ. ა. ბერიძე, ი. ლ. ბეჟანოვი, ც. მ. ბუთლიაშვილი, ე. კ. გაბუნია, მ. გ. გამბაროვი, ლ. ა. გაჩეჩილაძე, ნ. ე. გვასალია, მ. ი. გვარამია, ნ. ი. გიორგაძე, ლ. შ. გოგოძე, ნ. ა. გოგაძე, მ. ნ. გოგავა, მ. ა. გოგილაშვილი, მ. შ. გურგენიძე, ხ. მ. გურიელაშვილი, თ. ნ. დანელია, მ. თ. დუშვილი, ც. პ. დუშვილი, ლ. ი. ვარაზანაშვილი, გ. მ. ველიაშვილი, ე. ა. ზარანიანი, ც. ი. ზედელაშვილი, ჯ. გ. თაბაგარი, ი. ა. ინაშვილი, ზ. ე. ინასარიძე, ნ. გ. კაკაბაძე, ე. ე. კერესელიძე, ვ. ა. კოკლამაზაშვილი, ლ. პ. ლეფავა, ლ. ა. მაზმანოვი, ლ. დ. მარკოზაშვილი, ლ. შ. მაჭარაშვილი, მ. ვ. მგალობლიშვილი, ლ. შ. მებურნეშვილი, ლ. მ. მეტრეველი, ლ. გ. მირიანაშკილი, ლ. გ. მონიავა, თ. გ. ნიკოლაიშვილი, ლ. ი. ობოლაშვილი, ჯ. ე. ოქროევა, ლ. ა. ოხანაშვილი, მ. ა. პაპუაშვილი, ს. ღ. პეტრიაშვილი, რ. მ. პირველი, დ. ა. ყორეოლიანი, მ. ბ. ყლენტი. ც. კ. რუხაძე, ნ. ვ. საგანელიძე, რ. ჰ. სარუხანოვი, ლ ბ. სარქისოვი, ე. ნ. საჩელიძე, ნ. ი. საყვარელიძე. ქ. რ. ტანძიკეტრიაშვილი, ს. დ. ტურიაშვილი. მ. გ. ტყეშელაშვილი, ფ. ი. ფანჯავიძე, ლ. ი. ფაშალიშვილი, ნ. ა. ფხაკაძე, ლ. ა. ქვრივიშვილი, ზ. ვ. ქირია, თ. ბ. ღაღაშვილი, ლ. ვ. ღაღანიძე, მ. დ. შარაშიძე, ი. ვ. შოთაძე, ვ. ს. შუკეკიჩი, მ. ე. ჩაფიძე, ლ. ლ. ჩებიჩაშვილი, ლ. ე. ჩიმაკაძე, ლ. დ. ჩიტაშვილი, ლ. ი. ჩოფიკაშვილი, მ. ვ. ჩქარეული, ნ. შ. ცაგარელი, ლ. მ. ცქიტიშვილი, ბ. პ. წიკლაური, ზ. ი. წიწუაშვილი, ლ. შ. ჭუბაბრია, ზ. შ. ხახიაშვილი, ლ. გ. ხელაშვილი, თ. ა. ჯავახიშვილი, ნ. ნ. ჯაფარიძე, ნ. დ. ჯიღაური, ლ. გ. ჯოხაძე.

გერმანული ენის ფაკულტეტზე

რ. კ. აბესაძე, გ. ს. აბრამიშვილი, ნ. ა. არჩაძე, მ. გ. ასლანაძე, ზ. კ. ბახტაძე, ჯ. ლ. ბებურიშვილი-მჭედლიშვილი, თ. შ. ბერძენიშვილი, ლ. ვ. გემაზაშვილი, ლ. ს. გოგილიძე, ე. ი. გუბელიძე, ნ. გ. ეგრა. ც. გ. ენუქიძე, ე. ა. ვარძელაშვილი, გ. პ. ზურაბაშვილი, რ. გ. თაბუკაშვილი, [illegible] ძე, ე. მ. იარალი, ა. რ. იუსტრიძე, ე. გ. კოროშინაძე, გ. ნ. კუკეშაშვილი, ვ. ა. ლისენკო, ლ. შ. ლომიძე, თ. ი. მარტაშვილი, დ. ვ. მარგიანი, ი. დ. მამაცაშვილი, ნ. მ. მოწყობილი, ც. ა. მღინარაძე, ნ. ა. მეგენელიშვილი, ლ. ნ. მიმინოშვილი, ჯ. ვ. მუჯირი, ლ. დ. ნაცვლიშვილი, ლ. პ. ნაჩყებია, ლ. შ. ნინიკაშვილი, ლ. შ. ორჯონიკიძე, ლ. ა. ფირცხალავა, დ. დ. შენგელია, ნ. ნ. შიოლაშვილი, ნ. ა. ჩოგოიძე, გ. ა. ჩიქოვანი, ჯ. ს. ჩიტაძე, ც. პ. ჩხაიძე, გ. ა. ძულიაშვილი, ლ. ე. ხელაძე, ლ. დ. ჯანიაშვილი.

ფრანგული ენის ფაკულტეტზე

ნ. რ. ადამიძე, ვ. ვ. ავდიშვილი, ლ. ს. ასატროვა, ვ. ო. აფშილავა, ე. ზ. ახვლედიანი, ვ. მ. ბერიძე, ც ი. ბექაური, ნ. ლ. ბუხრაშვილი, ო. ბ. გაბუნია, გ. ს. გაჩეჩილაძე, ლ. ა. გიორგაძე, ბ. ვ. გეგეშიძე, ც. ვ. გოგოლაშვილი, თ. ვ. გოგორიშვილი, გ. კ. ჯოგუა, ო. მ. გონჯილაშვილი, ლ. ლ. გორგიძე, ნ. ს. გულიაშვილი, ნ. ა. დათუაშვილი, ლ. ე. დოლიძე, შ. ა. ზვიადაური, კ ა. იაგუბოვი, მ. ა. ამირლიშვილი, ნ. ე. კალანდაძე, ლ. ს. კახაძე, თ. გ. კვაბაძე, გ. ნ. კობაშვილი, ნ. ი. კოტანოვი, გ. დ. კუბლაშვილი, ქ. მ. ლომიძე, მ ს. დონდარიძე, თ. შ. მარდალეიშვილი, ნ. ნ მახაშვილი, ლ. დ. მღინარაძე, ლ. ვ. მებუკე, ც. ვ. მელაძე, რ. ა. მინასაშვილი, ც. შ. მოდებაძე, ა. კ. მხეიძე, ი. გ. ნაკაიძე, მ. ნ. ნასხლეტაშვილი, გ. პ. ნებიერიძე, ლ. ა. პაპუნაშვილი ლ. ს. ყალაძე, ე. დ. როსტიაშვილი, მ. ა. რუსოშვილი, ნ. შ. რუხაძე, ლ. დ. სავაძე, ნ. თ. სამსონია, ე გ. ტაბატაძე, ც. მ. ტვილდიანი, ი. ნ. უსტიაშვილი, ნ. ლ. ფოჩლაძე, დ. მ. ღლონტი. თ. ა. ყავლაშვილი, ა ი. შავიძე, ვ. ვ. შოშიაშვილი, ე. ბ. ჩაკვეტაძე, ლ. ვ. ჩიქოვანი, ა. პ. ჩიხლაძე, ი. პ. ცაგარეიშვილი გ. პ. ცაგარელი, ც. ნ. ცინცაძე, ნ. ა. ძიძიგური, მ ი. წამალაშვილი, ე. კ. წიწილაშვილი, ლ. მ. ჭყონია, მ. ი. ხაზალია, ქ. ქ. ხამხაძე, ლ. გ. ხაჟალია, ლ. დ. ხვიჩია, ვ. ტ. ხუნდაძე, ზ. რ. ჯაბადარი, ც. ვ. ჯინჭარაშვილი, გ. გ. ჯობაძე.

29-30 აგვისტოს იწარმოებს ჩარიცხულ სტუდენტთა რეგისტრაცია და სტუდენტთა ბილეთების გაცემა.

ნორჩი ჯურისტების შთაბეჭდილებანი

მრავალი ათასი ნორჩი ტურისტი ეწვია წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტულ სადგურს, რომელმაც გულთბილი მასპინძლობა გაუწია სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ პატარა მოგზაურთა ჯგუფებს.

მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, იაროსლავლიდან, კუიბიშევიდან, სვერდლოვსკიდან, ნიკოლაევიდან, ბაქოდან, ერევნიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა ნორჩმა ტურისტებმა თბილისში დიდი ინტერესით დაათვალიერეს ისტორიულ-რევოლუციური ღირსშესანიშნაობანი.

თბილისში ზაფხულის არდადეგების დროს ჩამოსულ მოსწავლე ბავშვთათვის სულ მოეწყო 292 ექსკურსია, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 5.415 პიონერმა.

ნორჩმა ტურისტებმა მასობრივად დაათვალიერეს აგრეთვე გორის, ბათუმის, სუხუმის, ქუთაისის და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ღირსშესანიშნავი ისტორიულ-რევოლუციური ადგილები.

ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის შთაბეჭდილებათა წიგნში ტურისტ პიონერების მიერ ჩაწერილია საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი ბელადისა და ხალხთა საყვარელი მასწავლებლის ი. ბ. სტალინისადმი უსაზღვრო მადლობით აღსავსე სიტყვები.

ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი პიონერები შთაბეჭდილებათა წიგნში გაკეთებულ ჩანაწერებში პირობას იძლევიან, რომ სწავლის მაღალი მაჩვენებლებით, სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომისა და ბრძოლისათვის მზადყოფნით უპასუხებენ საბჭოთა მთავრობისა და ხალხთა ბრძენი ბელადის მშობლიურ ზრუნვას.

ახალი ამბები

თბილისის საბჭოს მიერ გამოყოფილმა კომისიამ მიიღო და თბილისის განათლების განყოფილებას გადასცა ფალიაშვილის ქუჩაზე ახლადაგებული სასკოლო შენობა. შენობაში უკვე შეუდგნენ საკლასო ოთახებისა და კაბინეტების მოწყობას.

პლატონის ქარხნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის საცხოვრებელი სახლის ასაგებად გამოყოფილია მიწის ნაკვეთი ღრმადელეში, ინდივიდუალურ საცხოვრებელ უბანში. ამ სახლის აგება ერთი წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს.

ზრუნვა ბავშვებისათვის

წაღვერი. (ხაკ. კორ.). წაღვერის საბავშვო სანატორიუმმა წელს ბავშვთა რამდენიმე ნაკადი გაატარა. დასვენებული ბავშვებისაგან სანატორიუმის მუშაკთა სახელზე მადლობის წერილები მოდის.

წელს ამ სანატორიუმში ბავშვებმა ერთი თვის განმავლობაში წონაში საშუალოდ 2-3 კილოგრამი მოიმატეს.

ბოლნისი. (ხაკ. კორ.). საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა პროფკავშირს ფოლადაურში გახსნილი აქვს პიონერთა ბანაკი, სადაც ბავშვების დასასვენებლად კარგი პირობებია შექმნილი.

ამას წინათ გამოიყვანეს წყალსადენი, რომელიც საუკეთესო ხარისხის სასმელი წყალით ამარაგებს პიონერთა საზაფხულო ბანაკს. წყალსადენი ემსახურება აგრეთვე სოფელ ფოლადაურის მოსახლეობას.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 25/VIII მოწინავე — გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

საერთო სათაურით „საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი მიღწევებით ხვდება პარტიის XIX ყრილობას“ წერილები: ამ დღეებში მოწინავე შახტში. მევენახეთა კალდებულებანი. გაღლის რაიონის ჩოის პლანტაციებში.

მეორე გვერდი — ხაბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

მესამე გვერდი — პარტიული ცხოვრება — სწორად შევახამოთ პარტიული მუშაობა სამეურნეო საქმიანობას (26 კომისრის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე).

ი. ფოლიძე — მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

საქართველოს მთამსვლელთა ახალი წარმატებანი

20 აგვისტოს ბრწყინვალედ დაგვირგვინდა საქართველოს მთამსვლელთა ახალი შესანიშნავი ლაშქრობა: ასვლა მწვერვალ შხარაზე ჯერ გადაულახავი გზით — სამხრეთის კედლით. დამთავრდა აგრეთვე მისი სამივე წვერის გადალახვა და ბეზინგის კედლის, ე. ი. რუსთაველის სახელობის მწვერვალის, ჯანღას, კატინ-თაუს, გესტოლას და თეთნულდის ტრავერსი. მოიერიშე ჯგუფმა — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ბექნუ ხერგიანმა (ჯგუფის უფროსი), ჭიჭიკო ჩართოლანმა, მაქსიმე გვარლიანმა, ბესარიონ ხერგიანმა და ილია ბაბლიანმა, სულ ხუთმა კაცმა 9 აგვისტოს საღამოს მიაღწია შხარის მწვერვალს. 15 აგვისტოს ისინი ავიდნენ რუსთაველის სახელობის მწვერვალზე. აქ მათ შეუერთდა დამხმარე ჯგუფი: დავით რატიანი, დავით ქალდანი, შოთა ჩართოლანი და რეჯიბ ჯაფარიძე. მოიერიშე და დამხმარე ჯგუფებმა ერთად განაგრძეს გზა დასავლეთისაკენ და 20 აგვისტოს დაამთავრეს ეს ლაშქრობა.

შხარის აღმოსავლეთ და შუა მწვერვალზე მამაც მთამსვლელებს დახვდათ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის კ. აბალაკოვის ჯგუფის 1948 წლის ბარათი, დასავლეთ შხარაზე — ბარათი, დატოვებული 1940 წელს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის განსვენებული ალექსანდრე ჯაფარიძის ჯგუფის მიერ და კატინ-თაუზე — სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ა. კელოზონის ჯგუფის 1944 წლის ბარათი.

მწვერვალ შხარაზე ასვლა სამხრეთი კედლით აღიარებული იყო საბჭოთა მთამსვლელების ერთ-ერთ ურთულეს, მორიგ ამოცანად. საქართველოს მთამსვლელებმა განახორციელეს არა მარტო ეს ასვლა, არამედ დაუმატეს მას ბეზინგის კედლის სრული ტრავერსი, რომელიც თავისთავად უმაღლესი კატეგორიის სიძნელის მთასვლურ ლაშქრობად ითვლება.

ამრიგად, წლევანდელ მთასვლურ სეზონში საქართველოს მთამსვლელებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ტექნიკურად რთული ასვლებისა და ტრავერსების დარგში.

ამჟამადვე მიმდინარეობს მეორე მეტად რთული და მნიშვნელოვანი ტრავერსი, უდიდესი ყველა ტრავერსებს შორის, რომლებიც კი კავკასიონზე შესრულებულა. ამ ტრავერსზე 14 აგვისტოს ცანიდან გავიდა ა. ნემსიწვერიძის ჯგუფი, რომელმაც უნდა გადალახოს კავკასიონის 17 მწვერვალი ქედ-ქედ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ: წურუნგალი, აილამა, ორი უსახელო მწვერვალი ნამყვამსა და შხარას შუა, შხარის სამი წვერი,